I stage - manifestation of risk-factors: anamnesis, anthropometry, measuring of arterial pressure, estimation of nutrition regime, investigation of emotional tone. It is important to note about children prematurity (if it is possible) and its character, suffered diseases in childhood (nonrheumatoid carditis, rheumatoid arthritis, myocardial dystrophy, cardiopathy, vegetative cardiovascular dystony, mitral valve prolapse, congenital heart disease (it should be mentioned if a patient was subjected to the surgery and when), tonsillo-genous cardiopathy, etc. - is performed by a district pediatrician and school physician.

II stage - complex estimation of vegetative nervous system - reactivity, maintenance of vegetative action (methods, cardiointervalography, clinoothostatic tests), determination of cholesterol and triglyceride levels in blood plasma by means of deter-

mination of different changes of ST segment and T wave (of course, taking into account age peculiarities) - is performed by a district pediatrician, cardioreumatologist or cardiologist.

III stage - in the conditions of hospital a deep, complex clinical-instrumental investigation of cardiovascular system by means of cholesterol distribution in lipoprotein fractions, investigation of hemostasis and fibrinolysis system. Indications for the study of this stage appear to be a content of cholesterol level above 4,4 mmol/l, triglycerides - above 0,79 mmol/l, vegetative cardiovascular dystony and different versions of clinoothostatic tests, taking into account form of ST segment, its J error and by determination of T wave height and depth (is performed by children cardiologists).

IV stage - a rational nutrition dietary regime, timely health-resort seasonal treatment together with rehabilitation measures (if the latter is necessary), immunorehabilitation of children in risk-groups, etc.

V stage - to outline and perform preventive measures together with governmental and NGO (centers, associations, etc.) - is carried on by leading clinics using the programs of disease diagnostics, planned by scientific-analytical group.

Thus, only rationally organised, individual prophylactic measures commenced at the earlier stage are able to move the development of cardiac ischemic disease to relatively distant age group.

Key words: CARDIOVASCULAR SYSTEM, PREPARATION, THE TREATMENT, mitral valve prolapse (MVP), Atherosclerosis, ECG- ST segment and T wave, Vegetative-cardiovascular dystony (VCD), Cardiac ischemic disease.

UPDATE RESEARCH OF KAWASAKI DISEASE

*FUYONG JIAO,
 The Center for Kawasaki Disease of Shaanxi province Shaanxi provincial people's hospital*

*YAO JING XIAN,
 Medical College Master of Clinical Medicine*

*WEI YU XI'AN,
 Medical College Clinical Medicine (Pediatrics) Class 1401*

Corresponding Author : Fuyong Jiao
E-mail: 3105089948@qq.com

Kawasaki disease is an acute, self-limited vasculitis of unknown etiology, which mainly occurs in infants and children. The target organs of Kawasaki disease are coronary arteries and other cardiovascular structures. The initial manifestations of Kawasaki disease are high fever, inflammation of skin and mucosa, and enlargement of cervical lymph nodes. About 25% of children who are not treated with intravenous immunoglobulin during the acute phase of the disease will develop coronary artery aneurysms. Nowadays, Kawasaki disease has replaced rheumatic fever as the

main cause of acquired heart disease in children in developed countries. However, there is still no specific diagnostic test, echocardiography is still the main diagnostic method of coronary artery involvement in children with Kawasaki disease, and risk stratification assessment is carried out according to Z value to assist in the short-term and long-term diagnosis and treatment of Kawasaki disease. In the aspect of treatment, there are reports on the application of corticosteroids, infliximab, cyclosporine, methotrexate, interleukin receptor blockers and so on.





THE NEW RELATIONSHIP BETWEEN KAWASAKI DISEASE AND MIS-C

FUYONG JIAO,

Children hospital of Shaanxi Provincial People's Hospital, Xi'an, China

XIAOJIN DING,

Children hospital of Shaanxi Provincial People's Hospital, Xi'an, China

HAOTIAN XU,

Dept of pediatrics, Heyang County Hospital, Shaanxi Province, China

JIALE WANG,

Class 4 of Master, Xi'an Medical University

KARIM ELAKABAWI,

Dept of Cardiology, Benha university, Egypt

HO-CHANG KUO,

*Ho-Chang Kuo, Kaohsiung Chang Gung Memorial Hospital, Taiwan***Corresponding author:****E-mail: dr.hckuo@gmail.com****E-mail:3105089948@qq.com****Kaohsiung Chang Gung****Memorial Hospital, Taiwan****Jiao Fuyong, Children hospital****of Shaanxi Provincial People's Hospital,****Xi'an, China**

Kawasaki disease (KD) is a childhood disease associated with serious coronary artery complications. It is the most common cause of pediatric acquired heart disease in developed countries and is increasingly reported from many developing countries. The etiology of KD is still uncertain; interaction between a genetic predisposition and several environmental and immunological factors has been hypothesized. The Centers for Disease Control and Prevention reported that many children with MIS-C were infected with the new coronavirus or had close contact with people with the new coronavirus. Children with MIS-C show symptoms similar to severe cases of Kawasaki disease. An early discussion of similarities and differences between the novel coronavirus and Kawasaki disease was initiated towards the end of

March 2020 between Dr. Karim Elakabawi, Benha university, Egypt; Prof. Manuel Katz, the chairman of the global CIP, Israel; and Prof. Jiao Fuyong, the head of the Center of Kawasaki disease diagnosis and treatment, shaanxi province, China. The three doctors discussed their strong observations about the epidemiologic distribution of KD cases and global affection of the Corona viruses family: SARS, MERS, and the most recently COVID-19. This article mainly summarizes the similarities and differences between KD and MIS-C.

Key words: Kawasaki disease (KD) COVID-19 Children's Multiple System Inflammatory Syndrome(MIS-C) similarities differences

FEVER CLINIC: THE FIRST LINE OF PREVENTION AND CONTROL COVID-19 IN CHINA

XIANGLONG DUAN, LIANG SHAN, LIU PENG, JIAO FUYONG*,

Department of Clinical Medicine, Shaanxi Provincial People's Hospital

OMAR MOHAMUD HASSAN, RUI LI,

Department of Pediatrics and Child Health, Xiangya second hospital, Central South University, Changsha, Hunan Province, People's Republic of China.

YUXIAN ZHANG,

Children's Hospital, Shaanxi Provincial People's Hospital of Xi'an Jiaotong University, Xi'an, People's Republic of China

YINGYING YANG,

*Xi'an Medical University, Xi'an, People's Republic of China***Correspondence author: Jiao Fuyong;****E-mail: 3105089948@qq.com**

Objective: To establish a fever clinic for the effective control and interruption of COVID-19 transmission in hospitals.

Methods: By referring to literature and various materials, specific and feasible methods were summarized from the aspects of setting up, site selection, layout, ventilation, disinfection and isolation system, staff configuration, and workflow of fever clinic. **Results:** During the COVID-19 outbreak, the fever clinic

played an essential role in effectively controlling and reducing the hospital's transmission and infection. **Conclusion:** The existence of a fever clinic is popular and necessary, and it should be continuously improved to make it play a more significant role in the critical moment.

Keywords: Fever clinic, COVID-19, China



THE CURRENT SITUATION OF CONVENTION ON THE RIGHTS OF THE CHILD IN CHINA IN RECENT 30 YEARS

*FUYONG JIAO,
Children's Hospital, Shaanxi Provincial People's Hospital, xi'an China*

*JIALE WANG,
Xi'an medical university*

*HAOTIAN XU,
The Hospital of Heyan county, shaanxi province, China*

*WEN HUI,
Department of Pediatrics, Chang 'an Hospital, Xi'an China*

It has been 30 years since the United Nations promulgated the Convention on the Rights of the Child on November 20, 1989. That is a global convention. In the past 30 years, it has become a widely accepted legal regulation for the protection of children's survival and development. On November 20, 2012, the 20th anniversary of the China's accession to the UN Convention on the Rights of the Child was ceremoniously held in the Great Hall of the People's Republic of China [1]. In the 20years since joining the UN Convention on the Rights of the

Child, China has made a historic achievements in the development of its Children cause. From 1992 to 2012, China's under-five mortality rate dropped from nearly 60 per thousand to 13.1 per thousand. At present, the net enrollment rate of primary School-age has reached 99.7% [2]. It plays an important role in promoting the health and development of children in China.

Keywords: Children's Right, Promoting Development, Convention, Protection.

RESEARCH PROGRESS OF ANGIOTENSIN-CONVERTING ENZYME 2 IN COVID-19 IN CHILDREN

*JIAO FUYONG,
Xi'an Medical University, Xian, 710068*

*LIU JING,
Department of Pediatrics, Shanxi Provincial People's Hospital, Xian Shanxi, 710001*

Corresponding author: Jiao Fuyong
E-mail: 3105089948@qq.com

With the prevalence of SARS-CoV-2, 2019 in the world, the number of children infected with SARS-CoV-2, 2019 is increasing. Through angiotensin-converting enzyme 2 (ACE2) as one of the binding sites of SARS-CoV-2 infection, studying the role of ACE2 in the process of novel coronavirus infection is helpful to understand its pathogenic mechanism, better develop drugs, provide reference for the prevention and treatment of COVID-19 in

children, and start treatment as soon as possible. This paper summarizes the clinical characteristics of COVID-19's children and the role of ACE2 in the process of SARS-CoV-2 virus infection, aiming to provide reference for clinical diagnosis and treatment.

key words: SARS-CoV-2; Coronavirus Disease 2019 (COVID-19); angiotensin-converting enzyme (ACE)2

RESEARCH PROGRESS OF POST-TRAUMATIC STRESS DISORDER (PTSD) IN CHILDREN AND ADOLESCENTS

*WENYAN JIAO,
Psychological department, shaanxi Provincial people's Hospital. Xi'an China*

*TUNGALA OSGONBAATAR,
Association of Pediatric Researchers of Mongolia*

*WEN HIE,
Department of Pediatrics, Chang'an Hospital, Xi'an China*

Post-traumatic stress disorder (PTSD) in Children and teenagers is a disease that seriously affects children's physical and mental health. in this paper, the etiology, clinical manifestation, diagnosis and treatment methods and espe-

cially the clinical medication, cognitive, psychological treatment and prevention were summarized, hope to have promote role for diagnosis and treatment and children's health.



პრაქტიკოსი ექიმებისათვის Practicing Physicians

HELICOBACTER PYLORI ინფექცია ბავშვებში. მართვის რეკომენდაციები

მ.დ. ციცინო ფარულავა, მ.დ. მაია ჩხაიძე, მ.დ. მელაბ ცანავა, ია ხურცილავა
ი. ციციშვილის სახ. პედიატრიული კლინიკა

კუჭის ფლორაზე პირველად ყურადღება 100 წლის წინ გაამახვილეს, ხოლო ამ ფლორის ასოცირებაზე გასტრიტებთან 1970 წელს. თუმცა ამ ფლორის ქეშმარიტი არსი მხოლოდ 1982 წელს მეცნიერებმა Marshall და Warren გაშიფრეს, როცა მიღებული იქნა კულტურა და ამ ბაქტერიას დაერქვა ჯერ Campylobacter pyloridis, შემდეგ კი Helicobacter pylori (H. pylori).

დღეს ეჭვს არ იწვევს ამ მიკროორგანიზმს აქვს დიდი მნიშვნელობა ქრონიკული გასტრიტის, პეპტიური წყლულების, გასტრალური ადენოკარცინომის და ლიმფომის ფორმირებაში. **ბაქტერიოლოგია და ეპიდემიოლოგია**

H. pylori სპირალური ფორმის, მიკროაეროფილური, გრამ-უარყოფითი 3.5 /0.5 მკ ზომის მიკროორგანიზმია კამპილობაქტერიების ჯგუფიდან. მისი კულტურის ზრდა შესაძლებელია აგარის ნიადაგზე 3-7 დღეში. ორგანიზმს აქვს 2-7 შოლტი, რომელიც უზრუნველყოფს მის მოძრაობას. არახელსაყრელ გარემო პირობებში გადაიქცევა კოკებად. კოკები ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას ადამიანის ორგანიზმის გარეთ მაგ. ნიადაგში, წყალში

მიკროორგანიზმი გამოიმუშავებს ფერმენტებს: კატალაზა, ოქსიდაზა, ურეაზა და სხვა. ურეაზა ყველაზე მნიშვნელოვანია გადარჩენის, ეპითელზე ადჰეზიის და კოლონიზაციისთვის. კუჭის მუცინი მუშაობს როგორც ანტიბიოტიკი ჰელიკობაქტერის წინააღმდეგ. ურეაზას მეშვეობით ჰელიკობაქტერი გამოიმუშავებს ამონიუმს, რაც ანეიტრალებს კუჭის სეკრეტს, ბაქტერიის ირგვლივ ქმნის ღრუბელივით მასას და ეხმარება მას მუცინურ-ბიკარბონატული ბარიერის დაძლევაში და კუჭის ლორწოვანში პენეტრაციაში.

H. pylori ყველაზე გავრცელებული ქრონიკული ინფექციაა ყველა გეოგრაფიულ რეგიონში და ყველა ასაკში. მკვლევარები ფიქრობენ, რომ პირველად ადამიანების ინფიცირება 58 000 წლის წინ მოხდა მას შემდეგ, რაც განხორციელდა მიგრაცია აფრიკიდან. დღეის მდგომარეობით მსოფლიო მოსახლეობის 50% ინფიცირებულია. ინფიცირება განსაკუთრებით ხშირია განვითარებად სამყაროში. სავარაუდოთ ინფიცირება ადრეული ბავშვობაში ხდება, მიკრობი ადამიანის ორგანიზმში ცხოვრების მანძილზე პერსისტირებს და ყოველთვის არ იწვევს გასტროდუოდენურ დაავადებას. განვითარებად ქვეყნებში 10 წლისთვის ბავშვების უმრავლესობა უკვე ინფიცირებულია, 50 წლისთვის კი მოსახლეობის 50%. აშშ-ში 10 წლამდე ასაკში ინფიცირების შემთხვევები სეროლოგიურად პრაქტიკულად არ დასტურდება, 18-30 წლისთვის აღწევს 10% და >50 წლის ასაკისთვის 50%-

ს. უფრო ხშირია აფროამერიკელებში და ესპანურენოვან მოსახლეობაში, რაც სავარაუდოთ უფრო დაბალი სოციალ-ეკონომიური სტატუსით აიხსნება. მჭიდრო დასახლება, ბევრი ოჯახის წევრი, საერთო საწოლი, არაცენტრალიზებულად წყლის მიწოდება, განათლების დონე – გამოკვეთილი რისკ-ფაქტორებია. კვლევების მიხედვით უმეტეს შემთხვევაში ინფიცირება 5 წლამდე ხდება. მოგვიანებით ინფიცირებაც დასაშვებია, განსაკუთრებით ოჯახის წევრებს შორის, რადგან მიკრობი გამოყოფილია პირნალები მასიდან და დიარეული ფეკალიებიდან. მარლის ჭარბად მოხმარება რაციონში ზრდის H. pylori პერსისტირების რისკს. არის კვლევები, რომლებიც ამ ორი ფაქტორის სინერგიზმის მნიშვნელობას ადასტურებს კუჭის კიბოს დროს, თუმცა ევიდენსი ჯერ არ არის.

ინფექციის გადაცემის გზა ბოლომდე არ არის დაზუსტებული. ფეკალურ-ორალური და ორალურ-ორალური გზები ყველაზე სარწმუნოდ ითვლება. ადამიანები ინფექციის ძირითადი რეზერვუარები არიან. მიკრობი ასევე გამოყოფილია პრიმატებიდან და შინაური ცხოველებიდან (მაგ. კატა). არის შრომები, რომელიც ადასტურებს მიკრობის არსებობას ცხვრის რძესა და გასტრალურ ქსოვილში. შესაძლოა ცხვარი ბუნებრივი რეზერვუარი იყოს. ამით აიხსნება მწყემსებში მაღალი გავრცელება. მიკრობი ნანახია საცურაო აუზებში, უმ ბოსტნეულზე, მდინარეებში.

ორალურ-ორალური გადაცემა (ნერწყვით გადაცემა) დადასტურებული არ არის, ამიტომ დენტისტებისთვის და პირის ღრუს ჰიგიენის სპეციალისტებისთვის გადაცემის რისკი მინიმალურია. სამაგიეროდ იატროგენული ინფიცირება რეალურია. არასათანადოდ გასტერილებული ხელსაწყოები, ენდოსკოპები ინფიცირების წყაროა. ენდოსკოპისტები და საშუალო მედპერსონალი, რომელიც შეხებაშია კუჭთან დაკავშირებულ პროცედურებთან გაზრდილი რისკის ქვეშ არიან.

რეინფექცია მკურნალობის შემდეგ იშვიათია და რისკი მოზრდილებში დაახლოებით 2%-ია წელიწადში ანუ ამ ბაქტერიით პირველად ინფიცირების მაჩვენებელს არ აღემატება. რეინფექციის დაბალი მაჩვენებელი ალბათ პირველადი ინფიცირების გამო გამომუშავებული იმუნიტეტით აიხსნება.

ბავშვები განსხვავდებიან მოზრდილებისგან ინფექციის გავრცელების, გართულებების რიცხვის, კუჭის ონკოლოგიის მაჩვენებლით, ასევე განსხვავებულია დიაგნოსტიკური ტესტების ჩვენებები ასაკის მიხედვით, მედიკამენტების შერჩევის რეკომენდაციები და უფრო მაღალია რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მი-

მართ. მულტიცენტრული კვლევის მონაცემებით, რომელშიც მონაწილეობდა 1233 სიმპტომური ბავშვი და დასტურებული ინფექციით, დადასტურდა, რომ პეპტიური წყლულის გავრცელება ბავშვებში ნაკლებია მოზრდილებთან შედარებით და შეადგენს <5% 12 წლამდე ასაკში და 10% თინეიჯერებში. ჰელიკობაქტერთან ასოცირებული გასტრალური ლიმფომა ბავშვებში ძალზე იშვიათია და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა აღწერილი. ბავშვთა ასაკში აბდომინური ტკივილის და დისპეპსიური ჩივილების დიფერენციალური დიაგნოზი გაძნელებულია, რადგან ბავშვებს უჭირთ ტკივილის ლოკალიზაციის და თანმხლების სიმპტომატიკის ზუსტი აღწერა. მოზრდილებში დადასტურებულია ჰელიკობაქტერის ასოცირება იდიოპათიურ თრომბოციტოპენიურ პურპურასთან, რაც ბავშვებში არ შეიმჩნევა. შესაბამისად H. pylori ინფექციის მართვის ტაქტიკა ბავშვთა ასაკში განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

ინფექციის მართვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს 4 მთავარი კითხვა:
 ვის უნდა ჩაუტარდეს ტესტირება;
 რომელ ტესტებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა;
 ვის ესაჭიროება სპეციფიური თერაპია;
 მკურნალობის რომელი რეჟიმია უფრო მისაღები ბავშვებში.

2000 წელს ჯერ ევროპის, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის პედიატრიული გასტროენტეროლოგების, ჰეპატოლოგების და ნუტრიციოლოგების საზოგადოების (ESPGHAN, NASPGHAN) მიერ გამოქვეყნდა კონსენსუსი H. pylori ინფექციის მართვის რეკომენდაციების შესახებ ბავშვებში. 2006 წელს შეიქმნა ბავშვთა ასაკში H.P. ინფექციის მართვის გაილიანი. 2011 წელს მოხდა ამ რეკომენდაციების გადახედვა.

3. წყლური ინფექციის მართვის რეკომენდაციები განმარტებებით

8-12 წლამდე ასაკში ბავშვს უჭირს აკურატულად აღწეროს ტკივილის ლოკალიზაცია და ხასიათი. სპეციფიური ჩივილები: ტკივილი, დისპეპსიური მოვლენები არასპეციფიურია და შესაძლოა სულაც არ უკავშირდებოდეს პეპტიურ დაავადებას ან საერთოდ გასტროენტეროლოგიურ ტრაქტს. ბავშვებში მუცლის ტკივილის უზმირესი მიზეზი გასტროენტეროლოგიური ფუნქციური დარღვევებია. კვლევებმა აჩვენა, რომ ჰელიკობაქტერით გამოწვეულ ინფექციებს და გასტრიტს შესაძლოა საერთოდ არ ახლდეს ტკივილი. ამიტომ არაინვაზიური ტესტით ინფექციების ფაქტის დადგენა და სპეციფიური მკურნალობის დაწყება ინვესს დროის დაკარგვას და ძირითადი დაავადების მართვის გადავადებას. ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად ჩივილები რამდენიმე კვირაში კვლავ ვლინდება, ამიტომ H. Pylori ინფექციის სკრინინგი ზოგად პოპულაციაში არ არის რეკომენდებული

რეკომენდაცია 1.

გასტროენტეროლოგიური სიმპტომების არსებობის დროს კლინიკური კვლევის მთავარი მიზანია დადგინდეს ამ სიმპტომების გამომწვევი მიზეზი და არაა წყლური ინფექციის არსებობა.

რეკომენდაცია 2.

ტესტირება არ არის რეკომენდებული ბავშვებში ფუნქციური აბდომინური სინდრომით

1994 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ H. pylori I კლასის კარცენოგენად აღიარა. დღეს ეჭვს არ ინვესს კავშირი ამ მიკროორგანიზმით ინფიცირებასა და კუჭის კიბოს და B უჯრედოვანი ლიმფომას შორის. მაგრამ ეს დაავადებები უკიდურესად იშვიათია სიცოცხლის პირველი ორი დეკადის განმავლობაში. ჰელიკობაქტერით ინფიცირებულ ბავშვებში ლიმფომის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა აღწერილი. ფიქრობენ, რომ კუჭის ონკოლოგიური დაავადებების მიზეზი არ არის მხოლოდ ეს ინფექცია, არსებითი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ განწყობას, გარემო ფაქტორებს და კვების თავისებურებებს. ვინაიდან ერთ ოჯახში მაცხოვრებელ ინდივიდებს მსგავსი გენეტიკური განწყობა, კვების წესი და გარემო პირობები აქვთ, ბავშვები, რომელთაც აქვთ ოჯახური დატვირთვა ამ დაავადებებით მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან.

რეკომენდაცია 3.

გამართლებულია იმ ბავშვების ტესტირება, რომელთა ოჯახის წევრებს დადგენილი აქვთ კუჭის ონკოლოგია და ლიმფომა

რკინა-დეფიციტური ანემიის ეტიოლოგია განსხვავებულია ბავშვებსა და მოზრდილებში. კვლევები ადასტურებს, რომ არის კავშირი რკინის დეფიციტსა და H. pylori ინფექციას შორის. სავარაუდოთ ამის მიზეზი ისაა, რომ ორივე პრობლემა უფრო ტიპურია დაბალი სოციალურ-ეკონომიური შეძლების ფენებისთვის. ამიტომ უფროს ასაკში თუ არაინვაზიური მეთოდებით რკინა-რეზისტენტული ანემიის მიზეზი ვერ დგინდება, ნაჩვენებია ენდოსკოპია და ბიოფსიური მასალის კვლევა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადგილი არა აქვს ულცერაციას და ეროზიებს, გამართლებულია აღებული იქნას მასალა ჰელიკობაქტერის დიაგნოსტიკისთვისაც (ჰისტოლოგიური კვლევა, კულტურა). ბავშვთა ასაკში სარწმუნო მსგავსი კვლევები ცოტაა. ამიტომ ერადიკაციული თერაპიის დადებითი გავლენა რკინის სტატუსზე დადასტურებულად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ რკინის დაბალ სტატუსს შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ბავშვის მენტალურ და ფიზიკურ განვითარებაზე.

რეკომენდაცია 4.

ტესტირება ნაჩვენებია ბავშვებში რეფრაქტორული რკინადეფიციტური ანემიით, თუ სხვა მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება

ექსტრანიტესტინური დაავადებების კავშირი ჰელიკობაქტერით ინფიცირებასთან ასევე არ არის დადასტურებული.

რეკომენდაცია 5.

კავშირი ჰელიკობაქტერით ინფიცირებას და შუა ყურის ანთებას, ზედა რესპირაციული ტრაქტის ინფექციებით ავადობას, პერიოდონტალურ დაავადებას, კვებით ალერგიას, ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომის, იდიოპათიური თრომბოციტოპენიურ პურპურასა და ტანდაბლობას შორის დადგენილი არ არის

არსებობს H. pylori დეტექციის არაინვაზიური და ინვაზიური ტესტები. ინვაზიური ტესტები გულისხმობს გასტრალური ქსოვილის ჰისტოპათოლოგიურ შესწავლას, კულტურას და ურეზას სწრაფ ტესტს. შესაძლებელია გამოყენებული იქნას პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქცია და FISH. არაინვაზიური ტესტებია ანტიგენის



განსაზღვრა ფეკალიებში, ანტისხეულების ტიტრის განსაზღვრა შრატში, შარდში და ნერწყვში და 13C-UBT (სუნთქვის ტესტი).

ყველა ტესტი შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბავშვთა ასაკშიც. ძალზე მნიშვნელოვანია კონკრეტულ ასაკში და სიტუაციაში შერჩეული იქნას ყველაზე ინფორმატიული სადიაგნოსტიკო მეთოდი. მაგ. ტესტი რომელიც პაციენტთან კოოპერაციას საჭიროებს მაგ. სუნთქვის (ურეაზას) ტესტი ძნელად გამოსაყენებელია ჩვილებში, თოდლერებში და მძიმე კატეგორიის პაციენტებში.

ბიოპტატის კულტურის სპეციფიურობა 100%-ია, მაგრამ მგრძობელობა დაბალია. ჰელიკობაქტერის გავრცელება კუჭის ქსოვილებში განსხვავებულია, ამიტომ რაც უფრო მეტი ადგილიდან იქნება აღებული მასალა, მით მეტად სანდოა შედეგები. აუცილებელია ანტრუმიდან და სხეულიდან მასალის აღება. თუ კულტურა არ გაკეთდა ან უარყოფითია, მაშინ სხვა ინვაზიური ტესტებზე (ჰისტოლოგიური კვლევა და ურეაზას სწრაფის ტესტი) დადებით შედეგებზე შეიძლება ორიენტირება. ჰისტოლოგიური კვლევის დროს გიმზას მეთოდით ან ვერცხლით შეღებულ მასალაში შესაძლებელია გამოვლინდეს ატროფიული ცვლილებები და ინტესტინური მეტაპლაზია. ზოგჯერ ეჭვის მიტანა შესაძლებელია მაკროსკოპული ცვლილებებითაც. როგორცაა ნოდულარული ლორწოვანი ანტრუმის და ბულბუსის მიდამოში ან ეროზიები და წყლულები. ვინაიდან ბავშვებში ინვაზიური ტესტების, კერძოდ კულტურის, სენსიტიურობა მერყეობს 66-100%-მდე, ხოლო ურეაზას სწრაფი ტესტის სენსიტიურობა 75-100%, ჰისტომორფოლოგიური კვლევის მნიშვნელობა რამდენადმე იმატებს. თუ ყველა ინვაზიური ტესტები უარყოფითია, შესაძლებელია ინფიცირების ფაქტის უარყოფა.

ყველა ტესტი გამოდგება ერადიკაციული თერაპიის ეფექტურობის შესაფასებლად, მხოლოდ ანტისხეულების ტიტრი რჩება გარკვეული დროის მანძილზე მომატებული წარმატებული ერადიკაციის შემთხვევაშიც კი. ცრუ უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით გასათვალისწინებელია, რომ ანტიბიოტიკების, მათ შორის პენიცილინების და ცეფალოსპორინების და ანტისეკრეციული საშუალებების მიღება უნდა შეწყდეს 4 და 2 კვირით ადრე ტესტირებამდე შესაბამისად. ცრუ დადებითი შედეგების გამოსარიცხად აშშ და ევროპაში რეკომენდებულია 2 განსხვავებული ტესტის გამოყენება. თუ ჰისტოლოგია და ურეაზას სწრაფი ტესტი განსხვავებულ შედეგებს იძლევა, რეკომენდებულია არაინვაზიური ტესტით (სუნთქვის ტესტი ან განავლის ტესტი) დამატებით კვლევა. გამონაკლისია კულტურა. მისი დადებითი შედეგი რეალობას 100%-ით ასახავს.

რეკომენდაცია 6.

ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპიის დროს ტესტირებისთვის აუცილებელია ანტრუმიდან და კუჭის სხეულიდან მიღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოპათოლოგიური შესწავლა

რეკომენდაცია 7.

ინფიცირების ფაქტი დადასტურებულად ჩაითვლება თუ დადებითია ბიოფსიური მასალის ჰისტომორფოლოგია პლუს ურეაზას ტესტი ან პოზიტიური კულტურა

სუნთქვის (ურეაზას ტესტი) შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული როგორც მკურნალობის დაწყებამდე, ისე ერადიკაციის ეფექტურობის შესაფასებლად. ტესტი აკურატულია, სენსიტიური და სპეციფიური, ოღონდ დაცული უნდა იყოს ჩატარების წესები: კუჭი სანყის ეტაპზე უნდა იყოს ცარიელი, შემდეგ გამოსაკვლევ პირს ეძლევა ვაშლის ან ფორთოხლის წვენი ან ლიმონმუყავს შემცველი სითხე, რადგან ურეაზას აქტიობა pH მატების პარალელურად მკვეთრად ეცემა. სადიაგნოსტიკო სითხის (ტრეისერი) მიცემის შემდეგ პაციენტს ეძლევა სასმელი ტრეისერის გარეშე, რათა თავიდან იყოს აცილებული ტრეისერის დაშლა პირის ღრუს ფლორის მიერ. სწორედ ამ ნიუანსების შესრულების სირთულის გამო სუნთქვის ტესტის ჩატარება არ არის რეკომენდებული ჩვილებში და თოდლერებში და ტესტი დაბალ ინფორმატიულია 6 წლამდე ბავშვებში.

რეკომენდაცია 8.

13C-UBT ურეაზას ტესტი რეკომენდებულია ერადიკაციის შედეგების შესაფასებლად

ფეკალიებში ანტიგენის დეტექცია ყველაზე მისაღებია ბავშვთა ასაკში, რადგან სუნთქვის ტესტისგან განსხვავებით არ მოითხოვს ბავშვის თანამონაწილეობას და არ არის ასაკზე დამოკიდებული. ფეკალიების შენახვა ოთახის ტემპერატურაზე 5 დღეზე მეტ ხანს ან გაყინვა თვეების მანძილზე რეკომენდებული არ არის.

რეკომენდაცია 9.

განავალში ანტიგენის დეტექცია იმუნოფერმენტული მეთოდით (ELISA) არაინვაზიური და კეთილსამიერო მეთოდია ერადიკაციის ეფექტურობის შესამოწმებლად

H. pylori ინფექციას ახასიათებს ადრეულ სტადიაზე IgM ანტისხეულების, შემდეგ პერსისტული და ხანგრძლივი IgA და IgG ანტისხეულების ტიტრის მატება. ანტისხეულების დეტექცია შესაძლებელია სისხლში, შრატში, შარდში და ნერწყვში. სეროლოგიური ტესტირება არ გამოდგება ინფიცირების დასადგენად ან მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად, რადგან ანტისხეულების ტიტრის მატება ტიპურია ინფექციის წარმატებული მკურნალობის შემდეგაც თვეების მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტესტები იაფია, ადვილად შესასრულებელი, მათ არ აქვს კლინიკური დატვირთვა განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით პედაგოგიულ კონტიგენტისთვის. ადრეულ ასაკში ტესტის სპეციფიურობა და სენსიტიურობა ვარირებს ასაკის მიხედვით. IgA ტესტი დადებითია ინფიცირებული ბავშვების მხოლოდ 20-50%-ში, IgG დეტექციაზე დაფუძნებული ტესტები უფრო სენსიტიურია, მაგრამ ჩამორჩება მოზრდილთა მაჩვენებლებს და გაძნელებულია ნორმალური მაჩვენებლების განსაზღვრა განსაკუთრებით 6-8 წლამდე.

რეკომენდაცია 10.

ჰელიკობაქტერის სანინალმდეგო ანტისხეულების (IgG, IgA) განსაზღვრა სისხლის შრატში, სისხლში, შარდში და ნერწყვში არ არის რეკომენდებული კლინიკურ პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებისთვის

რეკომენდაცია 11.

რეკომენდებულია ბიოფსიური მასალის და არაინვაზიური ტესტების ჩატარება მინიმუმ 2 კვირის შემდეგ პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორების მიღების შეწყვეტიდან და 4 კვირის შემდეგ ანტიბიოტიკოთერაპიიდან



რამდენიმე მეტა-ანალიზი მიუთითებს, რომ მოზრდილებში პეპტიური წყლულის მორეციდივე მიმდინარეობის ალბათობა და სისხლდენით გართულებული ეპიზოდების რიცხვი მცირდება ერადიკაციული თერაპიის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებში პეპტიური წყლულის ეტიოლოგია, სინშირე, კლინიკური მანიფესტაცია განსხვავდება მოზრდილებისგან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რეციდიული მიმდინარეობის რისკი ბავშვებშიც ერადიკაციის შემდეგ შემცირდება. რეკომენდებულია ერადიკაციული თერაპია როგორც პეპტიური მწვავე წყლულის დროს, ისე შეხორცებული წყლულოვანი პროცესის ან ანამნეზში წყლულზე მითითების შემთხვევაში.

რეკომენდაცია 12.

ჰელიკობაქტერ – პოზიტიური პეპტიური წყლულის დროს ერადიკაცია აუცილებელია

ენდოსკოპიით წყლულის გამორიცხვის შემდეგ ჰელიკობაქტერ პოზიტიურ შემთხვევაში დგება დილემა: საჭიროა თუ არა ერადიკაციული თერაპია?

ერთის მხრივ, ჰელიკობაქტერით ინფიცირება არ იწვევს აბდომინურ ტკივილს, ხოლო გასტრიტის შეთხვევაში ერადიკაცია მუცლის ტკივილის ეპიზოდებს არ ამცირებს. მეორეს მხრივ, ჰელიკობაქტერით ინფიცირება მოზრდილებში ზრდის ონკოლოგიის რისკს. დისპეპსიის დროს, რომელსაც საფუძვლად არ უდევს წყლულოვანი დაზიანება ჰელიკობაქტერის ერადიკაციამ შესაძლოა შეამციროს პეპტიური წყლულის განვითარების რისკი. შესაბამისად H. pylori ასოცირებული გასტრიტის მკურნალობის დროს მკურნალობის ტაქტიკა უნდა გადანყდეს ინდივიდუალურად პოტენციური რისკების და სარგებელის გათვალისწინებით, მით უმეტეს ბავშვთა ასაკში

რეკომენდაცია 13.

თუ ჰელიკობაქტერით ინფიცირება დადასტურებულია ბიოფსიაზე დაფუძნებული მეთოდით, მაგრამ პაციენტს არა აქვს პეპტიური წყლული, ერადიკაცია დასაშვებია

პაციენტის ტესტირების მიზანია მისი ჩივილების და კლინიკური სიმპტომების მიზეზის დადგენა. „გატესტე და უმკურნალე“ სტრატეგია (არაინვაზიური მეთოდით დადებითი შედეგის საფუძველზე მკურნალობის ჩატარება) ბავშვთა ასაკში რეკომენდებული არ არის

რეკომენდაცია 14.

ბავშვებში მეთოდი: „გატესტე და მოიცადე“ არ არის სწორი

რეკომენდაცია 15.

ბავშვებს რომელთაც დაუდგინდება ინფიცირების ფაქტი და მისი პირველი რიგის ნათესავებს აქვთ კუჭის კიბო ესაჭიროებათ ერადიკაცია

ევროპის ქვეყნებში მულტისისტემური კვლევებით დოკუმენტურებულად დადასტურდა მაღალი რეზისტენტობა კლარიტრომიცინის და მეტრონიდაზოლის მიმართ. ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტობის გათვალისწინება მნიშვნელოვანი ფაქტორია ერადიკაციული თერაპიის ეფექტურობის მისაღწევად. ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობებით და განსაკუთრებით ბავშვთა

ასაკში არ არის შესწავლილი რეზისტენტობის საკითხი, ნაჩვენებია ინიციალური ემპირიული თერაპია შემდგომში კორექციით.

რეკომენდაცია 16.

ერადიკაციული თერაპიის დანიშვნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტულ ქვეყანაში და რეგიონში ანტიბიოტიკების რეზისტენტობის ხასიათი

ერადიკაციული თერაპიის მიზანია სულ მცირე 90%-იანი ერადიკაცია პირველივე ჯერზე. ასეთი მაღალი წარმატებით ჩატარებული ერადიკაცია ხელს უწყობს ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის პრევენციას და რეზისტენტული H. Pylori-ის პოპულაციაში გავრცელების თავიდან აცილებას. კონკრეტული პაციენტისთვის კი ასეთი მკურნალობა შეამცირებს შემდგომი მკურნალობის და კვლევის პროცედურების, მათ შორის განმეორებითი ენდოსკოპიის საჭიროებას. მკურნალობის რეჟიმების შესახებ ბავშვთა ასაკში კვლევების რაოდენობა ბევრი არ არის, ამიტომ ხდება მოზრდილთა რეკომენდაციების ექსტრაპოლირება. წინა გაიდლაინების მიხედვით პედაგოგიული კონტიგენტისთვის პირველი რიგის თერაპიად მიჩნეული იყო 2 ანტიბიოტიკის და პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორის კომბინაცია. აქტიურად გამოიყენებოდა ამოქსიცილინი და კლარიტრომიცინი, მაგრამ კლარიტრომიცინის მიმართ რეზისტენტობამ შეამცირა ერადიკაციის მაჩვენებლები 65.6%-მდე. გერმანელი ავტორები გამართლებულად მიიჩნევენ წინასწარ მგრძობლობის დადგენას კლარიტრომიცინსა და მეტრონიდაზოლზე. ასეთი მიდგომით სამმაგი თერაპიის ეფექტურობა აღწევს 93%-ს. აქედან გამომდინარე კლარიტრომიცინის შემცველი სამმაგი თერაპია პირველი რიგის თერაპიად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლარიტრომიცინის მიმართ რეზისტენტობა მოცემულ რეგიონში არ არის მაღალი ან თუ წინასწარ დადგინდება ინდივიდის მგრძობელობა კლარიტრომიცინზე.

ალტერნატიულ თერაპიად ითვლება განგრძობითი თერაპია მაგ. ორ ეტაპიანი თერაპია ამოქსიცილინით და პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორით 5 დღე და გაგრძელება სამმაგი თერაპიით: პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორით, კლარიტრომიცინით და მეტრონიდაზოლით ან თინიდაზოლით. პრაქტიკულად ეს არის ქვადროთერაპია. ითვლება, რომ ამოქსიცილინის ინიციალური გამოყენება ამცირებს კლარიტრომიცინის მიმართ რეზისტენტობას. 2005 წელს 74 ბავშვზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სტანდარტულ სამმაგ თერაპიასთან შედარებით ასეთი ორ ეტაპიანი თერაპიის ეფექტურობა უმჯობესია (75.7% და 97.3% შესაბამისად).

ბოლო წლებში ძირითად თერაპიასთან ერთად ან შემდგომ პრობიოტიკების დანიშვნაზე ბევრი ინერება. არის მოსაზრება, რომ პრობიოტიკებით შესაძლებელია ინიციალური მკურნალობის ჩატარებაც პირველი რიგის თერაპიის სახით.

ზოგიერთ ქვეყანაში ბისმუტის პრეპარატების გამოყენება სამმაგ თერაპიაში ასევე პირველი რიგის თერაპიის ალტერნატივად ითვლება.

აზრთა სხვადასხვაობაა თერაპიის ხანგრძლიობასთან დაკავშირებით. თერაპიის გახანგრძლივება აუმჯობესებს ერადიკაციის ეფექტურობას, ამიტომ თერაპია სასურველია გაგრძელდეს 7-14 დღე პრეპარატების ფასის და გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით.



რეკომენდაცია 17.

პირველი რიგის ერადიკაციული თერაპია

ინიციალური სამმაგი თერაპია (ვარიანტი 1)	PPI Amoxicillin Metronidazole	1-2mg/kg 1-ჯერ დღეში 50mg/kg 1-ჯერ დღეში 20mg/kg 1-ჯერ დღეში
ინიციალური სამმაგი თერაპია (ვარიანტი 2)	PPI Amoxicillin Clarithromycin	1-2mg/kg 1-ჯერ დღეში 50mg/kg 1-ჯერ დღეში 20mg/kg/day
ალტერნატიული თერაპია	bismuth subsalicylate ან subcitrate Amoxicillin Metronidazole	8mg/ kg 1-ჯერ დღეში 50mg/kg 1-ჯერ დღეში 20mg/kg 1-ჯერ დღეში
ქვადროთერაპია	• PPI • Amoxicillin 5 დღის განმავლობაში, შემდეგი 5 დღე • PPI • Clarithromycin • Metronidazole	1-2mg/kg 1-ჯერ დღეში 50mg/kg 1-ჯერ დღეში 1-2mg/kg 1-ჯერ დღეში 20mg/kg/1-ჯერ დღეში 20mg/kg/ 1-ჯერ დღეში
მაქსიმალური დღიური დოზა: amoxicillin 2000 mg metronidazole 1000 mg Clarithromycin 1000 mg მიღება 1- 2-ჯერ დღეში 10-14 დღე		

მკურნალობის ეფექტურობაზე და მეორადი, რომელიც წარმოიქმნება ინიციალური მკურნალობის შემდეგ.

არის აზრი, რომ ეს უკანასკნელი ბავშვებში ხშირია. ამიტომ თუ შესაძლებელია რეკომენდებულია კულტურის შესწავლა და საწყისი მგრძობელობის დეტექცია, რაც გააიოლებს მეორე რიგის თერაპიის შერჩევას. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ რეკომენდებულია ემპირიული მეორე რიგის თერაპია

ქვადროთერაპია: PPI +metronidazole+amoxicillin+ bismuth.

სამმაგი თერაპია: PPI+levofloxacin (მოXifloXacin)+amoxicillin. ფლოქსაცინების გამოყენება ბავშვთა ასაკში ლიმიტირებულია. მოზრდილებში ამ ანტიბიოტიკების ჩართვის შემთხვევაში ეფექტურობა ქვადროთერაპიის ეფექტურობას უტოლდება

არის აზრი, რომ შესაძლებელია მოხდეს მედიკამენტების დოზის გაზრდა და მკურნალობის გახანგრძლივება

რეკომენდაცია 18.

ვინაიდან კლარიტრომიცინის მიმართ დაფიქსირებულია რეზისტენტობა (>20%) სასურველია მკურნალობის დაწყებამდე განსაზღვრული იყოს მგრძობელობა მის მიმართ

რეკომენდაცია 19.

სამმაგი თერაპიის რეკომენდებული ხანგრძლიობაა 7-14 დღე. გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური დანახარჯი, შესაბამისობა და გვერდითი რეაქციების ალბათობა

იმ შემთხვევაშიც კი, როცა მკურნალობის ჩამთავრების შემდეგ ბავშვს ჩივილები არა აქვს და ასიმპტომურია, ეს არ ნიშნავს, რომ ერადიკაცია წარმატებულია. ეს განსაკუთრებით ეხება ბავშვებს პეპტიური წყლულით. ამიტომ მკურნალობის ეფექტურობის შეფასება უნდა მოხდეს 13C-UBT ტესტით (სუნთქვის ტესტი) ან ფეკალიებში ანტიგენის დეტექციით ELISA მეთოდით. ენდოსკოპიური მონიტორინგი რუტინულად არ არის ნაჩვენები, თუ არ არის ეჭვი ულცერაციის სხვა მიზეზებზე (ეოზინოფილური გასტროენტეროპათია, კრონის დაავადება) ან გასტროალური კულტურის და ანტიბიოტიკური რეზისტენტობის დეტექციის აუცილებლობა

რეკომენდაცია 20.

თერაპიის ეფექტურობის შეფასება დასაშვებია მკურნალობის დამთავრებიდან 4-8 კვირაში

ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა შესაძლებელია იყოს პირველადი, რაც უარყოფითად აისახება

რეკომენდაცია 21.

თუ მკურნალობა არაეფექტური აღმოჩნდა რეკომენდებულია სამი გზა:

● თუ ეს პირველადი ენდოსკოპიის დროს არ მომხდარა, განმეორებითი ენდოსკოპია, კულტურა და ალტერნატიული ანტიბიოტიკების შერჩევა მგრძობელობის გათვალისწინებით

● ერადიკაციის სქემის მოდიფიკაცია ანტიბიოტიკის შეცვლით ან ბისმუტის პრეპარატის დამატებით

● მედიკამენტების დოზის და მკურნალობის ხანგრძლიობის გაზრდა

H. pylori გავრცელება ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში ნაკლებია, ვიდრე ევროპის სამხრეთ და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მექსიკაში, აფრიკაში, აზიის ქვეყნებში და ამერიკის აბორიგენულ მოსახლეობაში. ამიტომ რეკომენდებულია ტესტირების ჩვენებები და მკურნალობის რეჟიმები განსხვავებული იყოს განვითარებულ ქვეყნებში და ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობებით. ეს გაიძლიანა შექმნილია ევროპისა და ამერიკისთვის და სასურველია იყოს ადაპტირებული სხვა ქვეყნებისთვის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

Evidence-based Guidelines From ESPGHAN and NASPGHAN for Helicobacter pylori Infection in Children. JPGN. 2011, Volume 53, Number 2, 230-243

რეზიუმე

HELICOBACTER PYLORI ინფექცია ბავშვებში. მართვის რეკომენდაციები

მ.დ. ციცინო ფარულავა, მ.დ. მაია ჩხაიძე, მ.დ. მადია ცანავა, ია ხურცილავა
ი. ციციშვილის სახ. პედიატრიული კლინიკა

კუჭის ფლორაზე პირველად ყურადღება 100 წლის წინ გაამახვილეს, ხოლო ამ ფლორის ასოცირებაზე გასტროიტებთან 1970 წელს. თუმცა ამ ფლორის ჭეშმარიტი არსი მხოლოდ 1982 წელს მეცნიერებმა Marshall და Warren გააჩვენეს, როცა მიღებული იქნა კულტურა და ამ ბაქტერიას დაერქვა ჯერ Campylobacter pyloridis, შემდეგ კი Helicobacter pylori (H. pylori).



დღეს ექვს არ ინვესს ამ მიკროორგანიზმს აქვს დიდი მნიშვნელობა ქრონიკული გასტრიტის, პეპტიური წყლულების, გასტრალური ადენოკარცინომის და ლიმფომის ფორმირებაში.

ბავშვები განსხვავდებიან მოზრდილებისგან ინფექციის გავრცელების, გართულებების რიცხვის, კუჭის ონკოლოგიის მაჩვენებლით, ასევე განსხვავებულია

დიაგნოსტიკური ტესტების ჩვენებები ასაკის მიხედვით, მედიკამენტების შერჩევის რეკომენდაციები და უფრო მაღალია რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ. მულტიცენტრული კვლევის მონაცემებით, რომელშიც მონაწილეობდა 1233 სიმპტომური ბავშვი დადასტურებული ინფექციით, დადასტურდა, რომ პეპტიური წყლულის გავრცელება ბავშვებში ნაკლებია მოზრდილებთან შედარებით და შეადგენს <5% 12 წლამდე ასაკში და 10% თინეიჯერებში. ჰელიკობაქტერთან ასოცირებული გასტრალური ლიმფომა ბავშვებში ძალზე იშვიათია და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა აღწერილი. ბავშვთა ასაკში აბდომინური ტკივილის და დისპეპსიური ჩივილების დიფერენციალური დიაგნოზი გაძნელებულია, რადგან ბავშვებს უჭირთ ტკივილის ლოკალიზაციის და თანმხლების სიმპტომატის ზუსტი აღწერა. მოზრდილებში დადასტურებულია ჰელიკობაქტერის ასოცირება იდიოპათიურ თრომბოციტოპენიურ პურპურასთან, რაც ბავშვებში არ შეიმჩნევა. შესაბამისად H. pylori ინფექციის მართვის ტაქტიკა ბავშვთა ასაკში განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

ინფექციის მართვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს 4 მთავარი კითხვა:

ვის უნდა ჩაუტარდეს ტესტირება;

რომელ ტესტებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა;

ვის ესაჭიროება სპეციფიური თერაპია;

მკურნალობის რომელი რეჟიმი უფრო მისაღები ბავშვებში.

2000 წელს ჯერ ევროპის, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის პედიატრიული გასტროენტეროლოგების, ჰეპატოლოგების და ნუტრიციოლოგების საზოგადოების (ESPGHAN, NASPGHAN) მიერ გამოქვეყნდა კონსენსუსი H. pylori ინფექციის მართვის რეკომენდაციების შესახებ ბავშვებში. 2006 წელს შეიქმნა ბავშვთა ასაკში H.P. ინფექციის მართვის გაილაინი. 2011 წელს მოხდა ამ რეკომენდაციების გადახედვა.

ნაშრომში დაწვრილებითაა წარმოდგენილი თანამედროვე რეკომენდაციები, რომელიც დიდ დახმარებას გაუჭევს პედიატრებს, გასტროენტეროლოგებს, თუ ექიმთა ფართო წრეს.

SUMMARY

HELICOBACTER PYLORI INFECTION IN CHILDREN. MANAGEMENT RECOMMENDATIONS

*M.D. TSITSINO FARULAVA, M.D. MAIA CHKHAIDZE,
MD MEDEA TSANAVA, IA KHURTSILAVA
i. Tsitsishvili Pediatric Clinic*

The gastric flora was first focused on 100 years ago, and the association of this flora with gastritis in the 1970s. However, the true essence of this flora was only deciphered by scientists Marshall and Warren in 1982, when the culture was adopted and the bacterium was named first Campylobacter pyloridis and then Helicobacter pylori (H. pylori).

Today there is no doubt that this microorganism is of great importance in the formation of chronic gastritis, peptic ulcers, gastric adenocarcinoma and lymphoma.

Children differ from adults in the prevalence of infection, the number of complications, the rate of gastric oncology, also different

Indications for diagnostic tests by age, recommendations for drug selection, and higher resistance to antibiotics. A multicenter study involving 1233 symptomatic children with confirmed infection found that the prevalence of peptic ulcer was lower in children than in adults and was <5% in children under 12 years of age and 10% in adolescents. Gastric lymphoma associated with Helicobacter pylori is very rare in children and only a few cases have been reported. Differential diagnosis of abdominal pain and dyspeptic complaints in children is difficult because children have difficulty in accurately describing pain localization and accompanying symptoms. The association of Helicobacter pylori with idiopathic thrombocytopenic purpura has been confirmed in adults, which is not observed in children. Accordingly H. pylori infection management tactics require a different approach in children.

There are 4 main questions to consider when managing an infection:

5. Who should be tested;

6. Which tests should be preferred;

7. Who needs specific therapy;

8. Which treatment regimen is more acceptable in children.

In 2000, the European Society, then the North American Society of Pediatric Gastroenterologists, Hepatologists and Nutritionists (ESPGHAN, NASPGHAN) published a consensus on recommendations for the management of H. pylori infection in children. Created in 2006 for children under the age of H.P. Infection Management Guideline. These recommendations were revised in 2011.

The paper presents modern recommendations that will be of great help to pediatricians, gastroenterologists or a wide range of doctors.




ბავშვთა უსაფრთხო კვების კუთხე

(D ვიტამინი, კალციუმი და რკინა ბავშვთა ასაკში, ყაზოზა, დიარეა ლაქტაციის დროს. დედის კვება და კიდევ სხვა რჩევები)

ნინო თოთაძე, პედიატრი, ნუტრიციოლოგი. მედიცინის აკადემიური დოქტორი. თსსუ კლინიკის პროფესორი.

D ვიტამინი, კალციუმი და რკინა ბავშვთა ასაკში

D ვიტამინის უკმარისობა გავლენას ახდენს მოსახლეობის თითქმის 50%-ზე მეტზე მთელ მსოფლიოში. მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 1 მილიარდ ადამიანს, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა და ასაკობრივი ჯგუფი გათვალისწინებით აქვს D ვიტამინის უკმარისობა. მიზეზები: გარე აქტივობების შემცირება, გარემოს შეცვლა-ჰაერის დაბინძურება..... ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ მზის სხივების ზემოქმედებას.



D ვიტამინის უმნიშვნელოვანესი როლი აქვს და ოსტეომალაციის პროფილაქტიკისთვის. ვიტამინი D და მისი აქტიური მეტაბოლიტები (პირველ რიგში D3), კალციუმისა და ძვლების მეტაბოლიზმის გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უჯრედულ მეტაბოლიზმზე სხეულის თითქმის ყველა ორგანოთა სისტემისთვის. მათ შორის მნიშვნელოვანია მისი როლი თანდაყოლილი იმუნური და აუტოიმუნური ფუნქციების დარეგულირებაში.

ცუდი კვების სტატუსი ადრეული ასაკის ბავშვებში მწვავე რესპირატორული ინფექციებისადმი მგრძობილობის კარგად აღიარებული მიზეზია. ბავშვებში D ვიტამინის უკმარისობა მნიშვნელოვნად ასოცირდება მწვავე ქვედა სასუნთქი გზების ინფექციების რისკთან.

D ვიტამინით გამოწვეული მნიშვნელოვანი როლის შესახებ ცოდნა და კვლევები გაიზარდა ბილო წლების განმავლობაში კვლევებით დგინდება ვიტამინი D-ის ჰორმონალური გავლენა ტვინის განვითარებასა და ქცევაზე, რაც ფსიქიკურ ჯანმრთელობისათან არის დაკავშირებული.

Elmer Verner McCollum – ამერიკელი ბიოქიმიკოსი, რომელიც ცნობილია თავისი ნაშრომით ჯანმრთელობაზე კვების გავლენა., კვლევები ვირთაგვებზე. ჟურნალმა Time მას ექიმი ვიტამინი უწოდა. ის წერდა: „ჭამე რაც გინდა მას შემდეგ, რაც შეჭამე მას, რაც საჭიროა“ მანამდე ვიტამინების შესახებ ინფორმაცია ნაკლები იყო. მან 1913 წელს Marguerite Davis-სთან ერთად აღმოაჩინეს პირველად ვიტამინი A, რამაც საფუძველი შექმნა B ვიტამინისა და D ვიტამინის აღმოჩენას და შემოუშავდა მიკროელემენტების ეფექტი კვებაში..

Adolf Otto Reinhold Windaus -ნობელის პრემიის ლაურიატი-მნიშვნელოვანი ნაბიჯები D3 ვიტამინის აღმოჩენისთვის. მან თავისი პატენტები მისცა მერკს და ბაიერს – Merck and Bayer და მათ გამოიტანეს სამედიცინო ვიგანტოლი 1927 წელს.

D ვიტამინის ათვისების გზები: საკვები პროდუქტი. მზის სხივები. დანამატი.

კვება ხელს უწყობს მოზრდილებში D ვიტამინის მარაგების მხოლოდ 10-20% -ს, ეს პროცენტული მაჩვენებელი


ბელი, კიდევ უფრო მცირეა ბავშვებში.

ყველა ბავშვს D ვიტამინი სჭირდება დაბადებიდან ვიტამინი D ორი ფორმით, ვიტამინი D3 ქოლესტეროლი და ვიტამინი D2 ერგოკალციფეროლი მეტაბოლიზდება (დაბადებისთანავე, ახალშობილებში შეზღუდულია D ვიტამინის მარაგი. შემდეგ, D ვიტამინის მიღება ახალშობილს შეუძლია დედის რძის საშუალებით (0, 5-1, 8 მიკროგრამი ლიტრზე) და დანამატების საშუალებით. ახალშობილებში და ჩვილებში D ვიტამინის უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს (რაქიტი), კრუნჩხვები და სუნთქვის გაძნელება. დედის რძე, ვერ უზრუნველყოფს საჭირო დოზით D ვიტამინის მიწოდებას რომელიც ბავშვს სჭირდება, ამიტომ ძუძუთი კვებაზე მყოფ ჩვილებისთვის დამატებითი წყაროა აუცილებელი.


AAP რეკომენდაციას, რომ ყველა ახალშობილსა და ბავშვს უნდა ჰქონდეს მინიმალური 400 სე (საერთაშორისო ერთეული) D ვიტამინი დღეში, დაბადებიდან მაშვევ.

ამერიკის პედიატრიის აკადემია მტკიცედ თვლის, რომ ყველა ბავშვი განსაკუთრებით 6 თვემდე, 1 წლამდე, მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული პირდაპირი მზის ექსპოზიციიდან, ბავშვის კანი მგრძობიარეა და მას ადვილად შეუძლია მიიღოს დამწვრობა. კანი განსაკუთრებით მგრძობიარეა მზის ულტრაიისფერი ზემოქმედებისგან ბავშვობაში. ბავშვობაში მზის ზემოქმედების სტიმულირება მელანომის განვითარების საწყის მუტაციურ ნაბიჯზე ემყარება ეპიდემიოლოგიურ კვლევას, რომ ჩვილი უნდა იყოს დაცული UV-ს ზემოქმედებისგან. გარეთ გაყვანის დროს ბავშვის ჩაცმულობა მნიშვნელოვანია, ტანისამოსი უნდა ფარავდეს სხეულის მნიშვნელოვან ნაწილებს., ტანსაცმელი სასურველია ნატურალური ქსოვილის და ასევე სასურველია ქუდის გამოყენება. მზისგან დამცავი კრემი.-ექვს თვემდე ჩვილებზე მზისგან დამ-

Calcium Deficiencies -Rickets



weakness and deformity of the bones that occurs from **vitamin D deficiency** or **dietary deficiency of Ca and P** in a growing person or animal.



ცავი საშუალებების ფართო გამოყენება ზოგადად არ არის რეკომენდებული, რადგან ჩვილებს აქვთ ძალიან მგრძობიარე კანი-შეიძლება ჰქონდეთ ალერგიული რეაქცია. ექვს თვეზე მეტი ასაკის ჩვილებისთვის მზისგან დამცავი კრემი უნდა იყოს დაცვის ბოლო ხაზი მზის პირდაპირი სხივების თავიდან აცილების მიზნით ტანსაცმლის, ქუდი და ჩრდილის გამოყენების შემდეგ. მზისგან დამცავი კრემი უნდა გამოიყენოთ ყოველ ორ საათში ერთხელ, ან უფრო ხშირად, თუ ის ჩამოცილდა. მაგ. ბანაობა. მზისგან დამცავი კრემი იცავს კანს დაზიანებისაგან, მაგრამ ხელს უშლის ვიტამინის წარმოებას.

12 თვეზე მცირე ასაკის ბავშვებს სჭირდებათ D ვიტამინის 400 სე

12-დან 24 თვემდე ბავშვებში საჭიროა 600 სე ვიტამინი დღეში.

1 წლამდე ასაკის ჩვილებს სჭირდებათ 8, 5-დან 10 მიკროგრამამდე ვიტამინი D დღეში.

1 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებს სჭირდებათ 10 მიკროგრამი ვიტამინი D

ზოგჯერ D ვიტამინის რაოდენობა გამოხატულია საერთაშორისო ერთეულებად (IU). D ვიტამინის 1 მიკროგრამი ტოლია 40 სე. ასე რომ, 10 მიკროგრამი ვიტამინი D უდრის 400 სე-ს.

ძუძუთი კვებაზე მყოფ ჩვილებს დაბადებიდან 1 წლამდე უნდა მიეცეთ ყოველდღიური დანამატი, რომელიც შეიცავს 8, 5-დან 10 მიკროგრამ ვიტამინ D-ს.

1-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვებს უნდა მიეცეთ ყოველდღიური დანამატი, რომელიც შეიცავს 10 მიკროგრამ D ვიტამინს.

დაახლოებით მარტის ბოლოდან / აპრილის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე,

საკმარისი რაოდენობით ვერ ხდება ვილებთ მზის სხივებით D ვიტამინის აქტივაცია. ეს დრო ვიტამინის საპროფილაქტიკო დოზის მიღების პერიოდია.

ზამთრის თვეებში, D ვიტამინის სინთეზი ბუნებრივად იკლებს.

მზისგან დამცავი საშუალებები ამცირებენ D ვიტამინის გამომუშავებას 95% -ით.

D ვიტამინის უკმარისობის რისკის მქონე ადამიანები, რომელთაც სისტემატიური კონტროლი სჭირდებათ: 1. ზოგი ადამიანი ვერ მიიღებს D ვიტამინს მზის სხივებისგან. კლიმატი.

2. ხშირად ვერ გადის გარეთ – ჯანმრთელობის პრობლემა

3. დაწესებულებები; როგორცაა მოხუცთა თავშესაფრები, ციხეები, საავადმყოფოები...

4. მუქი ფერის კანის მქონე პირებს D ვიტამინის ექ-

ვივალენტური რაოდენობით 10–15-ჯერ მეტი მზის ზემოქმედება სჭირდებათ, ვიდრე ღია კანის ადამიანებში.

5. სარწმუნოება თხოვთ მუდმივად განსხვავებულ ტანისამოსს-დაფარულია სახე, კანი...

6. სამსახურობრივი – ფორმები...

დიდი ხნის განმავლობაში D ვიტამინის ძალიან ბევრი დანამატის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმში დიდი ოდენობით კალციუმის დაგროვება (ჰიპერკალციემია). მან შეიძლება შეასუსტოს ძვლები და დააზიანოს თირკმელი და გული.

არ არის რეკომენდებული დღეში 100 მიკროგრამზე მეტი (4000 სე) D ვიტამინი, რადგან ეს შეიძლება იყოს საზიანო. ეს ეხება მოზრდილებს, მათ შორის ორსულ და მეძუძურ ქალებსა და მოხუცებს და 11-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებს – ექიმთან შეთანხმება.

1-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებს არ უნდა ჰქონდეთ დღეში 50 მიკროგრამზე მეტი (2000 სე). 12 თვემდე ჩვილებს დღეში არ უნდა ჰქონდეთ 25 მიკროგრამზე მეტი (1000 სე).

კალციუმი – არის მინერალი, რომელიც მნიშვნელოვანია ძვალ-სახსროვანი სისტემის შენებისთვის და განვითარებისთვის. ასევე ხელს უწყობს კუნთების შეკუმშვას, ნერვების სტიმულაციას და არტერიული წნევის რეგულირებას.

კალციუმი მნიშვნელოვანი მინერალია, რომლის შენახვასაც ორგანიზმი იწყებს ჩვილობის ასაკიდან. კალციუმის 99% ინახება ძვლებში. მიღებული მინერალის რაოდენობა ადექვატურია საყრდენ მამოძრავებელი სისტემის შესაბამის ფუნქციონირებისთვის.

ადრეული ასაკის ბავშვებსა და ჩვილებს სჭირდებათ კალციუმი და ვიტამინი D, რომ თავიდან აიცილონ დაავადება-რაქიტი.

კალციუმის ათვისება ხდება საკვებიდან – რძის საკვები პროდუქტები კალციუმის საუკეთესო წყაროებია. რძე, პოჯურტი, ყველი,...

უცხიმო, 1%, 2% რძე შეიცავს დაახლოებით იგივე რაოდენობის კალციუმს, რამდენსაც ცხიმოვანი.

ზოგიერთ ბავშვს არ შეუძლია რძის მიღება. მათ კალციუმი უნდა მიიღონ სხვა საკვებიდან, მაგალითად: კალციუმით გამდიდრებული სოიოს სასმელები, სოიო, ბროკოლი, ყვავილოვანი მწვანე, ხახვი, ჩინური კომბოსტო და სხვა ფოთლოვანი მწვანე, ნუში, თესლეული, თეთრი ლობიო, წითელი ლობიო, ფორთოხალი, ლეღვი და ქლიავი.

იმის გამო, რომ კალციუმი ძალიან მნიშვნელოვანია, კვების კომპანიები მას ხშირად უმატებენ ბურღულეულს, პურს, წვენს და სხვა საკვებს, რომელსაც ბავშვები ღებულობენ. 6 თვეზე მცირე ასაკის ბავშვებს სჭირდებათ 200 მგ კალციუმი დღეში.

6-დან 11 თვის ჩვილებს სჭირდებათ 260 მგ კალციუმი დღეში.

ჩვილების მხოლოდ რძის სახეობები უნდა ჰქონდეთ დედის რძე ან ფორმულა. არ მისცეთ ძროხის რძე, თხის რძე...

1-დან 3 წლამდე ბავშვებისთვის საჭიროა 700 მგ კალციუმი დღეში,

4-დან 8 წლამდე ბავშვებს დღეში 1000 მგ კალციუმი სჭირდებათ,

9-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს 1300 მგ კალციუმი სჭირდებათ დღეში

6-12 თვე: მინიმუმ 260 მგ დღეში



- 1-3 წელი: მინიმუმ 700 მგ დღეში
- 4-8 წელი: მინიმუმ 1000 მგ დღეში
- 9-18 წელი: მინიმუმ 1300 მგ დღეში
- > 19 წელი: მინიმუმ 1000 მგ დღეში

ჰიპოკალციემია (ჰყე-poe-kal-SEE-mee-uh) არის სისხლში კალციუმის დაბალი დონე.

კალციუმი სისხლში შეიძლება ძალიან დაბალი იყოს, თუ:

ბავშვის საკვები რაციონი დაბალია კალციუმის შემცველობით... ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ 1 წელზე მცირე ასაკის ჩვილები სვამენ ძროხის რძეს, თხის რძეს... ან ბავშვი იკვებება სახლში მომზადებული საკვებით..

ჰიპოკალციემია უფრო ხშირია ჩვილებში, მცირე მასის დღენაკლ ახალშობილებში ვიდრე უფროს ბავშვებში. რისკ ფაქტორია ასევე დედა დიაბეტის დიაგნოზით.

რკინა – არის მინერალი, რომელიც გვხვდება ყველა ცოცხალ ორგანიზმში. ეს არის ჰემოგლობინის მნიშვნელოვანი კომპონენტი, სისხლის წითელი უჯრედების ნაწილი, რომელსაც უნდა გადასცემდეს ფიტვებიდან ორგანიზმამდე მიაქვს

ორსულობის მესამე ტრიმესტრში სრულფასოვანი ჯანმრთელი ჩვილი დედისგან იღებს იმდენ რკინას, რომ სიცოცხლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია. ოთხი თვის შემდეგ საჭიროა კონტროლი-რკინის უკმარისობის რისკი. AAP კლინიკური ანგარიში, რკინის დეფიციტისა და რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზი და პრევენცია. ჩვილების დოზა 1 მგ / კგ / დღეში თხევადი რკინის დანამატი, სანამ არ მიიღებს საკვებიდან სრულფასოვნად.

თუ ბავშვი ფორმულაზეა: რეკომენდებულია გამოიყენოთ რკინით გამდიდრებული ფორმულა (შეიცავს 4-დან 12 მგ რკინას) დაბადებიდან სიცოცხლის მთელი პირველი წლის განმავლობაში.

ნაადრევე ჩვილებს ნაკლებ რკინის მარაგი აქვთ, ამიტომ მათ ხშირად სჭირდებათ დამატებითი რკინა იმის გარდა, რასაც იღებენ დედის რძით ან ფორმულით.

2010 წელს, AAP-მა დაიწყო რეკომენდაცია, რომ ყველა ბავშვს ჩაუტარდეს კვლევა 12 თვის ასაკში რკინის რაოდენობის განსასაზღვრად რკინადეფიციტური ანემიის გამორიცხვის მიზნით.

ყველა ბავშვს სჭირდება რკინა.. ეს მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების ყველა ეტაპზე.

რკინის ათვისება შეიძლება ისეთი საკვების მიღებით, როგორცაა ხორცი და მუქი მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული. რკინა ასევე ემატება ზოგიერთ საკვებს, მაგალითად საკვები ფორმულა და ბურღულეული.

რამდენი რკინა სჭირდებათ ბავშვებს?

ასაკის მიხედვით, ბავშვებს სხვადასხვა რაოდენობით რკინა ესაჭიროებათ:

ჩვილი იბადება რკინის მარაგით, რომელიც დედის სისხლიდან მიიღო მუცლადყოფნის პერიოდში.

ახალშობილებს, რომლებიც ძუძუთი იკვებებიან, დედისგან საკმარისი რკინის მიღება აქვთ 4-6 თვის ასაკამდე. ამ დროს, ჩვეულებრივ, შემოდის მდიდარი საკვებ-დამატებითი კვება, ჩვილებს, რომლებიც არ იღებენ საკმარის რკინას, უნდა მიეცეთ რკინის წვეთები ექიმის დანიშნულებით. ახალშობილებს, რომლებსაც რკინით გამდიდრებული ფორმულა აქვთ, არ სჭირდებათ დამატებით რკინა. 7-12 თვის ასაკის ჩვილებს სჭირდებათ 11 მილიგრამი რკინა დღეში.

1-3 წლის ახალშობილებს ყოველდღე 7 მილიგრამი

რკინა სჭირდებათ. 4-8 წლის ასაკის ბავშვებს 10 მილიგრამი სჭირდებათ, ხოლო 9-13 წლის ასაკის უფროსებს – 8 მილიგრამი.

თინეიჯერ ბიჭებს დღეში 11 მილიგრამი რკინა უნდა მიიღონ, ხოლო თინეიჯერმა გოგონებმა – 15 მილიგრამი. (მოზარდობა არის სწრაფი ზრდის პერიოდი და თინეიჯერ გოგონებს სჭირდებათ დამატებითი რკინა, როდესაც მენსტრუაცია იწყება.

რეკომენდებული დღიური ნორმა:

7-დან 12 თვემდე 11 მგ

1-დან 3 წლამდე 7 მგ

4-დან 8 წლამდე 10 მგ

9-დან 13 წლამდე 8 მგ

14-დან 18 წლამდე 11 მგ (ბიჭებისათვის) 15 მგ (გოგონებისთვის)

რა არის რკინის დეფიციტი?

რკინის უკმარისობაა, როდესაც ადამიანის სხეულს არ აქვს საკმარისი რკინა.

12 თვის ასაკის შემდეგ, ახალშობილებს რკინის უკმარისობა ემუქრებათ, რადგან ისინი აღარ სვამენ რკინით გამდიდრებულ ფორმულას – და, შესაძლოა, ისინი არ იკვებებოდნენ საკმარის რკინის შემცველი საკვებით.


რკინის უკმარისობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ზრდაზე და შეიძლება გამოიწვიოს სწავლისა და ქცევის პრობლემები. თუ რკინის დეფიციტი არ გამოსწორდა, ამან შეიძლება გამოიწვიოს რკინადეფიციტური ანემია (ორგანიზმში სისხლის წითელი უჯრედების რაოდენობის შემცირება).


რკინით მდიდარი საკვებია: საქონლის ხორცი, ღორის ხორცი, ფრინველი და ზღვის პროდუქტები. ხმელი ლობიო და ბარდა, გამომშრალი ხილი-ჩირი, ფოთლოვანი მუქი მწვანე ბოსტნეული, რკინით გამდიდრებული ბურღულეული,

(შენიშვნა: ცხოველის წყაროდან მიღებული რკინა უფრო ადვილად ითვისებს ორგანიზმს, ვიდრე მცენარეული წყაროდან მიღებული რკინა).

ძროხის რძე რკინის კარგი წყაროა?

არა, ძროხის რძე არ არის რკინის კარგი წყარო. მიუხედავად იმისა, რომ ძროხის რძეს დაახლოებით იმდენი რკინა აქვს, რამდენადაც ადამიანის რძეს, ის კარგად ვერ შეიწოვება ორგანიზმის მიერ. სასურველია ბავშვებმა მიიღონ რკინით გამდიდრებული მარცვლეული, განსაკუთრებით 18-24 თვის ასაკამდე.





სასურველია რკინით მდიდარი საკვები C ვიტამინის შემცველ საკვებთან ერთად (როგორცაა პომიდორი, ბროკოლი, ფორთოხალი და მარწყვი). ვიტამინი C აუმჯობესებს რკინის შეთვისებას.

როდესაც ჩვილები არ იღებენ საკმარის რკინას... ნელი წონის მატება, □ერმკრთალი კანი, მადის ნაკლებობა, გაღიზიანება, ბავშვები შეიძლება ფიზიკურად ნაკლებად იყვნენ აქტიურები და შეიძლება უფრო ნელა განვითარდნენ. რკინის ნაკლებობამ შეუძლია გამოიწვიოს პრობლემები კონცენტრირებაში, და აკადემიურ მოსწრებაზე.

დრიულ ახალშობილებს რომლებიც იკვებებიან ძუძუთი კვებით ან რომლებიც დაბადებიდან იღებენ რკინით გამდიდრებულ ფორმულას, არ სჭირდებათ რკინის დამატება. დღენაკლმა ახალშობილებმა უნდა მიიღონ რკინის დანამატი 8 კვირის ასაკამდე.

ერთ წელზე მეტი ასაკის ბავშვებს არ სჭირდებათ რკინის


დამატება, თუ ისინი საკმარისად ღებულობენ რკინით მდიდარ საკვებს.

დედის რძეს შეუძლია უზრუნველყოს რკინა.

როდესაც ბავშვი დაახლოებით 4-6 თვისაა, ხშირად მას სჭირდება რკინის დამატებითი წყარო საკვებიდან ან მედიკამენტის სახით რკინა – 1 მგ / კგ დღეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- <https://www.cdc.gov/nutrition/infantandtoddlernutrition/vitamins-minerals/vitamin-d.html>
- <https://www.healthychildren.org/English/ages-stages/baby/feeding-nutrition/Pages/Vitamin-Iron-Supplements.aspx#:~:text=The%20current%20AAP%20recommendation%20is,day%20beginning%20soon%20after%20birth.>
- https://www.who.int/elena/titles/bbc/vitamin_d_pneumonia_child/en/
- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4928729/>
- <https://www.nhs.uk/conditions/vitamins-and-minerals/vitamin-d/>
- [https://wiki.cancer.org.au/policy/Position_statement_Sun_protection_and_infants_\(0-12_months\)](https://wiki.cancer.org.au/policy/Position_statement_Sun_protection_and_infants_(0-12_months))
- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3356951/>
- <https://ods.od.nih.gov/factsheets/VitaminD-HealthProfessional/>
- https://www.who.int/elena/titles/vitamin_d_infants/en/
- <https://www.cdc.gov/nutrition/infantandtoddlernutrition/vitamins-minerals/iron.html>
- <https://www.betterhealth.vic.gov.au/health/conditionsandtreatments/iron-deficiency-children#suggestions-for-parents-%E2%80%93-babies>
- <https://kidspluspgh.com/doctors-notes/calcium-for-kids/>
- <https://kidshealth.org/en/parents/hypocalcemia.html>
- <https://kidshealth.org/en/parents/iron.html>
- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2528681/>
- <https://kidshealth.org/en/parents/calcium.html>
- <https://healthy-kids.com.au/food-nutrition/nutrients-in-food/calcium/>
- https://www.health.qld.gov.au/_data/assets/pdf_file/0027/367731/paed_calcium.pdf





ყაბზობა, დიარეა ლაქტაციის დროს. დედის კვება

ნინო თოთაძე, პედიატრი, ნუტრიციოლოგი.
მედიცინის აკადემიური დოქტორი. თსსუ კლინიკის პროფესორი.

ყაბზობა ჩვეულებრივ შეიძლება დაინყოს ორსულობის პერიოდში, პიკს აღწევს დაბადების შემდეგ, ლაქტაციის პერიოდში. ეს, როგორც წესი, სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციის შედეგია: საჭმლის მომწელებელი სისტემის პრობლემები, არასწორი კვება-ბოჭკოს შემცველი პროდუქტების მცირე რაოდენობის მიღება. (საშუალოდ ქალს ყოველდღიურად 25 გრამი ბოჭკო ჭირდება), ცვალებადი ჰორმონები, მშობიარობის შემდგომი მკურნალობა, დეჰიდრატაცია ან საშოს ნაკერები.

● ბოჭკო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყაბზობის პრევენციაში. იგი შთანთქავს წყალს განავლის დარბილების მიზნით და უზრუნველყოფს განავლის დარბილებას და ხელს უწყობს მის გადაადგილებას ნაწლავებში. ხილისა და ბოსტნეული და სხვა ბოჭკოს შემცველი პროდუქტები უზრუნველყოფს ლაქტაციის დროს ბავშვის სრულფასოვან კვებაში ხელშეწყობას-საჭირო ვიტამინებსა და მინერალების ათვისებას. აუცილებელია სასარგებლო სითხეების მიღება-წყალი. წყალი შეინოვება საჭმლის მომწეებელ ტრაქტში. წყლის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მშრალი, მყარი განავალი. გარდა ამისა, სითხის საჭიროება იზრდება ძუძუთი კვების დროს. სასურველია ერთი ჭიქა წყალი ყოველ ჯერზე ძუძუთი კვების დროს. (დღე-ღამის მანძილზე 10-12 ჭიქა).

● ქლიავის მირთმევა, ასევე ქლიავის ჩირი ხელს უწყობს შეკრულობის შემსუბუქებას. ჩირი მდიდარია საკვები ბოჭკოებით, 3 გრამი ბოჭკო მხოლოდ ხუთ ქლიავში. ქლიავი ასევე შეიცავს ბუნებრივ საფალარათო ნაერთებს, მაგალითად სორბიტოლს, რომელიც ხელს უწყობს ნაწლავების მოქმედებას. რკინის პრეპარატებმა შეიძლება ხელი შეუწყოს შეკრულობას. კარგ კვებას ხშირად შეუძლია დააკმაყოფილოს რკინის მოთხოვნილება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში. აუცილებლობის შემთხვევაში სასურველია რკინის მცირე დოზების მიღება მთელი დღის განმავლობაში, ვიდრე ერთდროულად მიღება სადღეღამისო დოზის.

● მკურნალობა

● ბევრ პაციენტს ეხსნება შეკრულობა-ყაბზობა საკვები ბოჭკოს სასურველი დოზის (საკვებით ათვისება) და წყლის რაოდენობის გაზრდით (10-12 ჭიქა).

● ასევე ყოველდღიური ვარჯიშით. მსხვილი ნაწლავის ფლორის შემცველმა პრობიოტიკებმა შეიძლება გააუმჯობესოს ნაწლავის ფუნქცია.

საფალარათო საშუალებები თერაპიის მეორე ხაზია.

● უნდა გაგრძელდეს თუ არა ძუძუთი კვება, როდესაც დედას აღენიშნება დიარეა? დიარეას, ისე როგორც გრიპის ვირუსის დროს რეკომენდებულია გაგრძელდეს ძუძუთი კვება, რადგან დედის რძე შეიცავს ანტიბიოტიკებს, რომლებიც ხელს უწყობს დაიცვას ბავშვი იგივე დაავადებისაგან. თუმცა მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების დაცვა:

● აქტიურად სითხის მიღება, ხშირად დაიბანეთ ხელე-ბი, თავიდან აიცილოთ ცემინება/ხველა ბავშვთან კონტაქტის დროს, პირისპირ კონტაქტის შეზღუდვა და ა.შ.

● მიიღეთ ის მედიკამენტები, რომლებიც უსაფრთხოა ლაქტაციის დროს.

● ძუძუთი კვება უნდა გაგრძელდეს აუცილებელი დროებითი შეჩერების შემდეგ, დედების თერაპიის პირველი 24 საათის განმავლობაში

● ყოველდღე გაინმინდეთ ტუალეტის სავარძლები, სახელურები, ონკანები, ზედაპირები და კარების სახელურები

● არ უნდა გაზიარდეს პირსახოცი, ჭურჭელი, პირადი ნივთები.

● არ არის რეკომენდებული ხილის და მყავე წვენების მიღება,

● არ არის რეკომენდებული საცურაო აუზის გამოყენება სიმპტომების შეწყვეტამდე

● კვების მხრივ რეკომენდებულია:



● ბანანი, ბრინჯი (თეთრი), ვაშლი, კეფირი ან იოგურტი – მდიდარია პრობიოტიკებით, კრეკერი, კვერცხი, ქათამი ან ინდაური კანის გარეშე, კარტოფილი, ხაჭო, თევზი, ავოკადო, თეთრი ლობიო, გვირილის ჩაი.

● განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობიოტიკები, იოგურტი და კეფირი (ფერმენტირებული რძის სასმელი) შეუძლიათ გაამრავლონ ჯანმრთელი ბაქტერიები საჭმლის მომწეებელ ტრაქტში, რომელიც დაკარგულია დიარეის გამო. (არა შაქრის შემცველი)


● პრობიოტიკები შეიცავს ცოცხალ ბაქტერიებს, მსგავსი სასარგებლო ბაქტერიებისგან. სიფრთხილით მოვეკიდოთ: დარწმუნდით, რომ კეფირი ან იოგურტი არ არის მდიდარი შაქრით, რადგან შაქრით მდიდარ საკვებს შეუძლია გაუარესოს დიარეის სიმპტომები.

● სასურველია შეიზღუდოს:

● ცხიმოვანი საკვები, უმი ბოსტნეული, უმი ხილი, ძლიერი სანელებლები, ალკოჰოლი და კოფეინი, მათ შორის ყავა, შოკოლადი.

გამოყენებული ლიტერატურა

- <https://www.nhs.uk/conditions/diarrhoea-and-vomiting/>
- <https://www.nhs.uk/conditions/diarrhoea-and-vomiting/>
- <https://www.healthline.com/health/parenting/diarrhea-treatments-while-breast-feeding#The-Takeaway>
- <https://www.nhs.uk/conditions/diarrhoea-and-vomiting/>
- <https://www.nhs.uk/conditions/diarrhoea-and-vomiting/>
- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4036098/>



- <https://www.google.com/search?q=Abdominal+pain+and+gases+in+children+up+to+0-6+months&oq=Abdominal+pain+and+gases+in+children+up+to+0-6+months&aqs=chrome..69i57.400j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8>
- <https://www.positiveparentingconnection.net/when-baby-is-fussy-all-about-colic-gas-and-feeding/2017w>

- <https://www.google.com/search?q=Abdominal+pain+in+children&oq=Abdominal+pain+in+children&aqs=chrome..69i57j69i60l2.263j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8>
- <https://www.healthychildren.org/English/health-issues/conditions/abdominal/Pages/Abdominal-Pains-in-Infants.aspx>
- <https://www.webmd.com/parenting/baby/colic-treatments>
- https://en.wikipedia.org/wiki/Baby_colic
- <https://americanpregnancy.org/first-year-of-life/colic/2019w>
- <https://www.google.com/search?q=Infant+and+baby+colic&oq=Infant+and+baby+colic&aqs=chrome..69i57j0l5.1019j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8>
- <https://www.chop.edu/pages/diet-breastfeeding-mothers-2019w>
- <https://www.medela.com/breastfeeding/mums-journey/-breastfeeding-what-to-eat-2018w>
- <https://www.mayoclinic.org/healthy-lifestyle/infant-and-toddler-health/in-depth/breastfeeding-nutrition/art-20046912>
- <https://prenate.com/the-anti-colic-diet-foods-to-avoid-to-help-combat-infant-colic/>

სამედიცინო კუთხით რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჯგუფის პროდუქტები, ვეგეტარიანული ბავშვები

არსებობს ვეგეტარიანელის რამდენიმე მიმართულება:

1. ვეგეტარიანელები, ღებულობენ რძესა და კვერცხს, მაგრამ არახორცს, ფრინველს და თევზს.
2. ვეგეტარიანელები ჭამენ რძეს, კვერცხსა და თევზს, მაგრამ არ ჭამენ ხორცსა და ფრინველს.
3. ვეგანები არ ჭამენ რძეს, კვერცხს, ხორცს, ფრინველს და თევზს.

ვეგეტარიანული დიეტა ხშირად ასოცირდება ჯანმრთელობის რიგ უპირატესობებთან, მათ შორის სისხლში ქოლესტერინის დონის დაწვევა, გულის დაავადებების რისკის შემცირება, არტერიული წნევის დონის შემცირება და ჰიპერტენზიის და 2 ტიპის დიაბეტის რისკი. ვეგეტარიანელებს აქვთ სხეულის მასის დაბალი ინდექსი კარგად დაგეგმილი ვეგეტარიანული კვება შეიძლება იყოს გემრიელი, ნოყიერი და ჯანსაღი, მაგრამ აუცილებელია ვიზრუნოთ იმ ვიტამინებზე და ნუტრიენტებზე, რომლებიც უზუნა მიგველო სწორედ იმ პროდუქტებიდან, რომლებსაც არ ვჭამთ.

1. ხორცი უზრუნველყოფს ცილებს, რკინას, თუთიას და B12 ვიტამინს.

2. რძის პროდუქტები შეიცავს კალციუმს და D ვიტამინს. ომეგა-3-ს.

3. თევზის პროდუქტები მდიდარია D ვიტამინს. ომეგა-3., DHA'.

4. მეძუძურმა ვეგეტარიანელმა დედებმა უნდა მიიღონ ზემოთ ჩამოთვლილი იგივე ნუტრიენტები. ომეგა -3 ცხიმები მნიშვნელოვანია ჩვილების განვითარებისთვის და შეიძლება დაგჭირდეთ ომეგა -3 დანამატი. ვეგან დედებს შეიძლება ყოველდღე დასჭირდეთ B12 ვიტამინი.. ექიმის დანიშნულებით ვიტამინების მიღება დამატებით რეკომენდებულია საჭიროების შემთხვევაში.

B12 ვიტამინი-ამცირებს დადლილობას, ახდენს მესხიერების ფუნქციის ოპტიმიზაციას, მოწესრიგებული ძილი, აუმჯობესებს ნერვული სისტემის მუშაობას და კომუნიკაციის უნარს, ეხმარება სისხლის წითელი

უჯრედების წარმოქმნას, ჩართულია დნმ-ის სინთეზში...

თუთიის დეფიციტმა შეიძლება შეაფერხოს ბავშვის ზრდა და დააზიანოს მისი იმუნური სისტემა.

კალციუმი-ძვალ-სახსროვანი და კუნთოვანი სისტემის განვითარებისთვის, სიმაღლეში ზრდა.

ფრთხილად იყავით ბოჭკოვანი საკვების მიღებაზე ფრთხილად იყავით, ნუ შეივსებთ ბოჭკოს. მიუხედავად იმისა, რომ ხილი და ბოსტნეული ბავშვის კვებაში მართლაც მნიშვნელოვანი ნაწილია, ისინი დაბალკალორიულია და არ აქვთ საკმარისი ენერჯია. ავოკადო არის ენერჯით მდიდარი საკვები, რომელიც უნდა შევიდეს ვეგეტარიანულ კვებაში.

B12 ვიტამინის შემცველი პროდუქტები მოლუსკები, გამდიდრებული ბურღულეული-ქერი, თინუსი, -კვერცხი რძის პროდუქტი, საკვები საფუარი,

ცილოვანი პროდუქტები: თევზი და ზღვის პროდუქტები, კვერცხი, რძის პროდუქტები – რძე, იოგურტი, ყველი, ხაჭო. პარკოსნები, თხილი და თესლი, სოიოს პროდუქტები.

რკინის შემცველი პროდუქტი: რკინით გამდიდრებული ბურღულეული, პარკოსნები – ლობიო, ოსპი, სოიო, ფოთლოვანი ბოსტნეული, ბროკოლი, გამომცხვარი ბატატი, კეშიუ,

შეუთავსეთ რკინა C ვიტამინს. ვიტამინი C ზრდის რკინის შეწოვას. ფორთოხალი, მანდარინი ან სატაცური.

თუთიის შემცველი პროდუქტები: ხამანკები, პარკოსნები, თხილი, გოგრის, თესლი, რძის პროდუქტები, კვერცხი, მთელ მარცვალთ ბურღულეული. შავი შოკოლადი.

კალციუმით მდიდარი პროდუქტები-რძე და რძის პროდუქტები. მწვანე ბოსტნეული. სოიოს ხაჭო, სოიოს ყველი, ლობიო, თხილეული, პური.

ომეგა 3, DHA, ვიტამინი D: სელის, ჩიას, კაკლისა და კანაფის თესლის ზეთები. ზღვის წყალმცენარეები.



პური და ბურღულეული ბავშვთა ასაკში

რატომ არის მნიშვნელოვანი ბავშვებისთვის პურისა და ბურღულეულის მიღება?

პური და ბურღულეული ბოჭკოს, ნახშირწყლების, ცილების, ვიტამინებისა და მინერალების ფართო სპექტრია. მარცვლეული არის ჯანსაღი კვების აუცილებელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს საკვები ნივთიერებებსა და ენერჯის ბავშვის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის.

დღის ულუფა

2-8 years	9-11 years	12-13 years	14-18 years	
Boys	4	5	6	7
Girls	4	4	5	7

მარცვლეულის ულუფა (პური და ბურღულეული) ექვივალენტურია:

მარცვლეულის ერთი ულუფა (პური და ბურღულეული) ექვივალენტურია:

1 ნაჭერი პური (40 გრ) -, უნდა იყოს მთლიანი მარცვლეულის ან მაღალი ბოჭკოვანი ხარისხის პური.

- 1/2 ჭიქა მოხარშული ბრინჯი, მაკარონი, კუსკუსი, ქერი, ნინიბურა, (75-120 გრ)
 - 1/2 ჭიქა მოხარშული ფაფა (120 გრ)
 - 2/3 ჭიქა მარცვლეულის ფანტელები (30 გრ) ან 1/4 ჭიქა მუსლი (30 გრ)
- 1 პატარა ინგლისური მაფინი, ერთი ნაჭერი ნამცხვარი ან კრეკერი (35 გრ)

პური რატომ მთელმარცვლიანი?

რატომ გვჭირდება მთლიანი მარცვლეული? ხორბალი, შვრია, ყავისფერი ბრინჯი, სიმინდი (სიმინდი), ქერი, ნინიბურა, ჭვავი და ფეტვი.

კვლევებით დადასტურებულია, რომ რომ ბავშვები, რომლებიც იკვებებიან მთელი მარცვლეულით, აქვთ უფრო დაბალი რისკი ქრონიკული დაავადებების განვითარების-მსიმსუქნე და დიაბეტი.

მარცვლები-სამი საკვები ნაწილისგან – გარსი, ჩანახახი და ენდოსპერმი.

გარსი შეიცავს დიეტურ ბოჭკოებს, ცხიმოვან მჟავებს, ასევე ცილებს, ვიტამინებსა და მინერალებს.

ჩანახახი შეიცავს დიეტურ ბოჭკოს, ვიტამინ E, ფოლატს, ფოსფორს, თუთიას და მაგნიუმს, ასევე არსებით ცხიმოვან მჟავებს. ის ბოჭკოს კარგი წყაროა.

ენდოსპერმი - ნახშირწყლებს, ცილებს და მცირე რაოდენობით ვიტამინებსა და მინერალებს.

ESPGHAN, სურსათის უვნებლობის ევროპული ორგანო (EFSA) რეკომენდაციას უწევს რკინით მდიდარი საკვების შემოღებას 4-6 თვის ასაკიდან.

მნიშვნელოვანია მარცვლეულის გადამუშავების ტიპი, რაოდენობა ხარისხი. განსაკუთრებულად ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული მთლიანი მარცვლეულის მნიშვნელობაზე ჩვილი ასაკიდან, რადგან ჯანმრთელობისთვის მთელი მარცვლეულის მოხმარება ბევრად სარგებელია.

მრავალ ქვეყანაში ჩვილი ბავშვებისთვის დამატებით კვებაში მარცვლეული პირველი საკვებია. რადგან 1. ბურღულეული ენერჯის შესანიშნავი წყაროა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ექვსი თვის ასაკში, როდესაც მხოლოდ ძუძუთი კვება აღარ არის საკმარისი ჩვილის კვების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. 2. ბურღულეული შეიცავს მნიშვნელოვან რაოდენობის საჭირო ნახშირწყლებს ბოჭკოს და ცილებს. 3. ასევე წარმოადგენს ვიტამინების, მინერალებისა და ბიოაქტიური ნაერთების წყაროს. მარცვლეული წარმოადგენს რკინის შეთვისების მნიშვნელოვან წყაროს. 4. დადებით როლს ასრულებს მიკრობიოტის განვითარებაზე.

მარცვლეულის მიღება არ არის რეკომენდებული ოთხი თვის ასაკამდე.

რატომ მთელი მარცვლი?

ყველა მარცვალი შედგება სამი ნაწილისგან: მრავალ-შრიანი გარეთა ბოჭკოებით მდიდარი გარსი, მიკროელემენტებით მდიდარი და ლიპიდებით მდიდარი ჩანახახები და სახამებლის შემცველი ენდოსპერმი. მთელ მარცვალში სასარგებლო კომპონენტები შემდეგნაირად ნაწილდება 80-85% ენდოსპერმში, 10-14% გარსში და 2.5-3% ჩანახახში. პირველი ხარისხის პურის ფქვილში დამუშავებული მარცვლეული მხოლოდ ენდოსპერმისგან შედგება, მაშინ როდესაც ბოჭკოების, ვიტამინების, მინერალებისა და სხვა ფიტოქიმიკატების ყველაზე მაღალი წილი გვხვდება მარცვლის გარსსა და ჩანახახში - 15-დან 18-ჯერ მეტია ენდოსპერმის შემცველობასთან შედარებით სასარგებლო ბიოაქტიურ ნაერთები.

რა სასარგებლო კვებით ღირებულება აქვს მთლიან მარცვალს? 1. იმუნური სისტემის სტიმულირება, ანტი-ოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, ნონის კორექცია, სიმსუქნის რისკის შემცირება. გულსისხლძარღვთა დაავადებების, რესპირატორული დაავადებების, ინფექციური დაავადებების რისკის შემცირება. ბოლო დროს, ჯანსაღი მარცვლის პროდუქტის მიღება ასევე უკავშირდება მოზრდილებში კოგნიტური ფუნქციის გაუმჯობესებას. ამიტომ თანამედროვე განმარტებით ტერმინი „მთელი მარცვლეული“ ასოცირდება ისეთ ტერმინებთან, როგორცაა „სასარგებლო“ „ჯანმრთელი“ „მინიმალური დამუშავებით“.

ამიტომაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჭHO) რეკომენდაციას უწევს „ სასარგებლო მარცვლეულის მოხმარების გაზრდას“ და დოზირების შენარჩუნებას ასაკობრივი ჭრილის გათვალისწინებით. ასევე ანალოგიურ რეკომენდაციას იძლევა დიდ ბრიტანეთი- ჯანმრთელობის ეროვნული სამსახური (NHS) „სადაც შეგიძლიათ, აარჩიოთ მარცვლეულის მთლიანი მარცვლით.“.

ისტორია

ქერისგან დამზადებული პურები წარმოდგენილია ახალ აღთქმაში..., ველური ხორბლის, გარეული ქერი - იორდანიისში, ძველ ეგვიპტეში პურის დამზადების ფართო მონაცემები დასტურდება მხატვრული გამოსახულებებში ანტიკურ პერიოდში საფუარის ყველაზე გავრცელებული წყარო იყო ცომის ნაწილის (შაქრით და წყლით, იბერიელები იყენებდნენ ლუდისგან, ბერძნული იყო პირველი ლუმელის იდეა,



ანტიკურ დროსაც პურის მრავალფეროვნება არსებობდა. ძველად ბერძნული პური ქერის პური იყო: ხორბლის პური მხოლოდ სადღესასწაულო დღეებისთვის ცხვებოდა. V საუკუნისთვის პურის შექმნა ათენში შეიძლებოდა თონების მალაზიიდან, ხოლო რომში ბერძენი მცხოვრებლები გამოჩნდნენ ძვ.წ. II საუკუნეში.

მეცნიერების ვარაუდით პურის დედოფე ცხობა კი დაახლოებით 5, 000 წლის წინ დაიწყო. ეს ხანგრძლივი პროცესია, რადგან ამ დროს ჯანსაღი ბაქტერიების სელექცია ხდება.

მეცნიერული კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანებმა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში დაიწყეს წყლით და უხეშად დაფქვილი მარცვლეულის შერევით მიღებული მასის გახურებულ ქვებზე მომზადება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პირველი პური ადამიანებმა სრულიად შემთხვევით მიიღეს.

ხორბალი განსაკუთრებით მაღალია მანგანუმის შემცველობით და ქერს აქვს მსგავსი რაოდენობით თუთია, რკინა, მაგნიუმი და კალიუმი.

ხორბალი და ქერი მდიდარია მინერალებით. ამასთან, ორივე კარგავს მნიშვნელოვან რაოდენობას გადამუშავების დროს, განსაკუთრებით ხორბლის რაფინირებული ფქვილის დაფქვაში. ჩვეულებრივ, რკინას უმატებენ დაფქვილ ხორბლის ფქვილს, რომ შეესაბამებოდეს მთლიანი მარცვლეულის პროდუქტს.

ქერი უფრო მაღალია საკვები ბოჭკოებით, ვიდრე ხორბალი; მეორეს მხრივ, ხორბალი უფრო მაღალია ცილებით. ისინი შეიცავს თითქმის თანაბარი რაოდენობის ცხიმებსა და ნახშირწყლებს.

ვიტამინების შედარება

რაც შეეხება ვიტამინების შედარებას? ხორბალი ბევრად უფრო მაღალია ვიტამინი B5-ით, საკმაოდ მაღალია ვიტამინი B3-ით. მეორეს მხრივ, ქერი საკმარისად უფრო მაღალია ვიტამინი B2 და ვიტამინი B1, ხოლო ხორბალი უფრო მაღალია ვიტამინი B6. ძლივს შეიცავს აგრეთვე ვიტამინ K-ს, ვიტამინ A-ს და E ვიტამინს, რომლებიც ხორბალში არ არის. ამ შინაარსში ქერი არის ტიტულის მფლობელი.

ხორბალი უფრო მაღალია სელენიუმში – ჩვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ელემენტი. სელენის უმაღლესი სტატუსი აუცილებელია ადამიანის რეპროდუქციის ფუნქციისთვის, აქვს ანტიოქსიდანტიური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ამცირებს აუტოიმუნური ფარისებრი ჯირკვლის დაავადების რისკს

B ჯგუფის ვიტამინების ჯგუფი ხელს უწყობს სწორ მეტაბოლიზმს, ნერვული და მეტაბოლური სისტემის სწორ ფუნქციონირებას, გვანვდის აუცილებელ ენერჯის და კვებას ჩვენს კანს და სისხლძარღვებს

ქერი უფრო მაღალია საკვები ბოჭკოებით. დიეტური ბოჭკოვანი ამცირებს დიაბეტის ტიპის 2 რისკს, ხელს უშლის ყაბზობას, ხელს უწყობს წონის დაკლებას, ამცირებს ნაწლავის ტრანზიტის დროს, ამცირებს მსხვილი ნაწლავისა და მკერდის კიბოს რისკს, ამცირებს ქოლესტერინს და გულის იშემიური დაავადების რისკს. კვლევის თანახმად დიეტური ბოჭკოებით მდიდარი საკვების მაღალი მიღება ხელს უშლის ნალველკენჭოვან დაავადებას.

<https://foodstruct.com/compare/barley-hulled-vs-wheat>

<https://healthy-kids.com.au/food-nutrition/5-food-groups/breads-cereals/>

https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bread

რეზიუმე

ბავშვთა უსაფრთხო კვების კუთხე

(D ვიტამინი, კალციუმი და რკინა ბავშვთა ასაკში ყაბზობა, დიარეა ლაქტაციის დროს. დედის კვება და კიდევ სხვა რჩევები)

ნინო თოთაძე,

პედიატრი, ნუტრიციოლოგი. მედიცინის აკადემიური დოქტორი.

თსსუ კლინიკის პროფესორი.

შრომაში დანვრებილია ის საკითხები გადმოცემული, რომელიც ეხება ჯანსაღი ცხოვრების წესის განხორციელებას ბავშვებში, მოზარდებში ახალგაზრდა დედებში და საზოგადოების ფართო წრეში. ეს საკითხებია: – D ვიტამინი, კალციუმი და რკინა ბავშვთა ასაკში,

- ყაბზობა, დიარეა ლაქტაციის დროს. დედის კვება,
- ვეგეტარიანული ბავშვები,
- პური და ბურღულეული ბავშვთა ასაკში

ამდენად, ბავშვთა, მოზარდთა და დედათა კვების სწორ მართვას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება თანამედროვე პედიატრიაში.

SUMMARY

SAFE FEEDING OF CHILDREN

(VITAMIN D, CALCIUM AND IRON IN CHILDREN, CONSTIPATION, DIARRHEA DURING LACTATION. MOTHER'S MEAL AND MORE TIPS)

NINO TOTADZE,

Pediatrician, Nutritionist. Academic Doctor of Medicine.

Professor at TSMU Clinic.

The paper details the issues related to the implementation of a healthy lifestyle in children, adolescents, young mothers and the general public. These issues are:

- D Vitamin D, calcium and iron in children,
- Constipation, diarrhea during lactation. Mother food,
- Vegetarian children,
- Bread and cereals in children

Thus, proper nutrition management of children, adolescents and mothers plays an essential role in modern pediatrics.



კარდიოლოგიის თეორიული საფუძვლები

44. ფიზიკური დატვირთვისას გულის წუთმოცულობა იზრდება:

- ა) გულის პარასიმპათიკური სტიმულაციის გაზრდის ხარჯზე;
- ბ) პრედატვირთვის შემცირების ხარჯზე;
- გ) საბოლოო დიასტოლური მოცულობის შემცირების ხარჯზე;
- დ) საშუალო არტერიული წნევის შემცირების ხარჯზე;
- ე) პარკუჭების კუმშვადობის გაზრდის ხარჯზე.

45. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ენდოკარდიუმი, გულის ღრუების ამომფენი შიგნითა გარსია;
- ბ) ენდოთელიუმი გადადის გულში შემომავალ და გულიდან გამომავალი სისხლძარღვების შიგნითა გარსში (ინტიმაში);
- გ) ენდოთელიუმის ეროზული გარსია;
- დ) სუბენდოკარდიულ, შემაერთებულქსოვილოვან გარსში მოთავსებული არიან ვენები, ნერვები და პურკინიეს ბოჭკოები

46. არტერიული წნევის გაზრდას და გულისცემის სისხშირის გაიშვიათებას ადგილი აქვს:

- ა) ფიზიკური დატვირთვისას;
- ბ) სხეულის ტემპერატურის მომატებისას;
- გ) მაღალ მთაზე ასვლისას;
- დ) ინტრაკრანიალური წნევის მომატებისას.

47. ჩასუნთქვისას კლებულობს:

- ა) მარჯვენა პარკუჭის ავსება;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის წუთმოცულობა;
- გ) სისტემური არტერიული წნევა;
- დ) მარცხენა პარკუჭის კუმშვადობა

48. არტერიული წნევა და გულისცემის სისხშირე ქვეითდება:

- ა) ფიზიკურ დატვირთვისას;
- ბ) ჰიპოქსიის პირობებში;
- გ) ინტრაკრანიალური წნევის მომატებისას;
- დ) სინკოპეს განვითარებისას.

49. ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან ვაზოპრესული აქტივობა აღენიშნება:

- *ა) ანგიოტენზინ-II;
- ბ) ანგიოტენზინ-I;
- გ) რენინს;
- დ) პროსტაციკლინს;
- ე) ყველა ჩამოთვლილს.

50. ჰიპერნატრიემიის შემთხვევაში:

- *ა) რენინის სეკრეცია მცირდება;
- ბ) ალდოსტერონის სეკრეცია იზრდება;
- გ) ანგიოტენზინ II-ისსინთეზი იზრდება;
- დ) ანგიოტენზინ I-ისსეკრეცია იზრდება.

51. რენინი სინთეზირდება:

- *ა) იუქსტა-გლომერულური აპარატის უჯრედებში;
- ბ) თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის უჯრედებში;
- გ) თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის უჯრედებში;
- დ) პანკრეასში;
- ე) ჰიპოფიზში

52. ფიზიკური დატვირთვისას გულისწასვლის (სინკოპეს) განვითარება ყველაზე უფრო დამახასიათებელია:

- ა) აორტის ხვრელის სტენოზისთვის;
- ბ) მიტრალური ხვრელის სტენოზისთვის;
- *გ) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიისთვის;
- დ) აორტული ნაკლოვანებისთვის;
- ე) მიტრალური ნაკლოვანებისთვის.

53. გულმკერდის არეში ტკივილი, ზურგში ირადიაციით, ყველაზე მეტად ახასიათებს:

- ა) სტენოკარდიას;
- ბ) მიოკარდიუმის ინფარქტს;
- *გ) აორტის განმშრეველ ანევრიზმას;
- დ) ბრონქოპნევმონიას;
- ე) სეპტიურ ენდოკარდიტს.

54. კიდურების დისტალური ნაწილების ციანოზი, ცივი კანი და გაძლიერებული ოფლიანობა მეტყველებს:

- ა) გულის ან მსხვილი სისხლძარღვების დონეზე მარჯვნიდან-მარცხნივ შუნტის არსებობაზე;
- *ბ) გულის მძიმე უკმარისობის არსებობისას, ვაზოკონსტრიქციის განვითარებაზე;
- გ) მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებაზე;
- დ) მარცხნიდან მარჯვნივ შუნტის არსებობაზე.

55. მარჯვენა და მარცხენა ხელებზე გაზომილ არტერიულ წნევებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა ახასიათებს:

- ა) კონის სინდრომს;
- ბ) პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტს;
- გ) ემბოციის ანომალიას;
- *დ) არასპეციფიურ აორტოარტერიიტს;
- ე) ფალოს ტეტრადას.

56. ქვედა კიდურებზე, ზედა კიდურებთან შედარებით, დაბალი არტერიული წნევა ახასიათებს:

- ა) აორტის სარქველების ნაკლოვანებას;
- *ბ) მუცლის აორტის კოარქტაციას;
- გ) მიტრალურ სტენოზს;
- დ) არასპეციფიურ აორტოარტერიიტს.

57. სისტოლური არტერიული წნევის აწევა და დიასტოლური არტერიული წნევის დაქვეითება ახასიათებს ყველა ჩამოთვლილ დაავადებას, გარდა:

- ა) აორტის სარქველების ნაკლოვანებას;
- *ბ) სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებას;
- გ) ლია ბოტალოს სადინარს;
- დ) არტერიო-ვენურ შუნტებს;
- ე) ჰიპერთირეოზს.

58. ორტოსტატიური ჰიპოტენზია და ტაქიკარდია მიუთითებს:

- ა) გულის უკმარისობის არსებობაზე;
- ბ) აორტის სარქველების ნაკლოვანებაზე;
- *გ) მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებაზე.

59. მოსვენების მდგომარეობაში ტაქიკარდიის არსებობა მიუთითებს:

- ა) მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებაზე;
- *ბ) მძიმე გულის უკმარისობის არსებობაზე;
- გ) ჰიპოთირეოზზე;
- დ) მიტრალური ნაკლოვანების არსებობაზე;
- ე) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიის არსებობაზე.

60. ერთ-ერთი ქვემო კიდურის იზოლირებული შეშუპება ვითარდება:

- ა) გულის უკმარისობის განვითარებისას;
- *ბ) ქვედა კიდურების ვენების პათოლოგიების დროს;
- გ) კონსტრიქციული პერიკარდიტის შემთხვევაში;
- დ) ზემო ღრუ ვენის ობსტრუქციისას.

61. ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიებიდან დადებითი ვენური პულსი ახასიათებს:

- ა) აორტის სარქველების ნაკლოვანებას;
- *ბ) სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებას;
- გ) მიტრალური სარქველის ნაკლოვანებას;
- დ) მიტრალურ სტენოზს;
- ე) აორტულ სტენოზს.

62. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი გარდა:

- ა) ნორმაში მარცხენა პარკუჭის მწვერვალს საძვერი შეიგრძნობა IV-V ნეკნთაშუა სივრცეში მარცხენა მედიოკლავიკულური ხაზის ოდნავ მედიალურად;
- ბ) გულმკერდის წინა კედელზე მწვერვალს საძვერის დიამეტრი არ აღემატება 3 სმ-ს;
- *გ) მწვერვალს საძვერის მიდამოში, დიასტოლის პერიოდში, მიტრალური ხერხელის სტენოზის ან მიტრალური სარქველის ნაკლოვანებისას შეიგრძნობა ე.წ. დიასტოლური „კატის კრუტუნი“;
- დ) ნორმაში მწვერვალს საძვერის პიკი შეესაბამება აორტული სარქველების გაღებას.

63. გულის აბსოლუტური და შედარებითი მოყრუების საზღვრების თანხვედრა ახასიათებს:

- *ა) ექსუდაციურ პერიკარდიტს;
- ბ) კომბინირებულ მიტრალურ მანკს;
- გ) ექსუდაციურ პლევრიტს;
- დ) ფილტვების ემფიზემას;
- ე) კომბინირებულ აორტულ მანკს.

64. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან ე.წ. გაღების ხმანობის შესახებ, სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) „გაღების ხმანობა“ ყოველთვის მოისმინება მიტრალური ხერხელის სტენოზის დროს;
- ბ) უფრო ხშირად, „გაღების ხმანობის“ წარმოქმნის მიზეზი ორკარიანი სარქველის ნაკლოვანებაა;
- *გ) მიტრალური სარქველის „გაღების ხმანობა“ ყველაზე კარგად მოისმინება მკერდის ძვლის მარცხენა – ქვემო კიდესთან;
- დ) „გაღების ხმანობა“ მოისმინება დიასტოლის პერიოდში, II ტონის შემდეგ.

65. IV ტონი შეიძლება მოვისმინოთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების არსებობისას, გარდა:

- ა) სისტემური არტერიული ჰიპერტენზიის;
- ბ) აორტული სტენოზის;
- *გ) მოციმციმე არიტმიის;
- დ) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიის;
- ე) მიტრალური სარქველის მწვავედ განვითარებული ნაკლოვანების;
- ვ) მოკარდიუმის ინფარქტის გადატანის შემდგომ.

66. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან ე.წ. განდევნის ტონის შესახებ სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) განდევნის ტონი მოსმინება სისტოლის დასაწყისში, უშუალოდ I ტონის შემდეგ;
- ბ) განდევნის ტონის აღმოცენების მიზეზი აორტისა და ფილტვის არტერიების სარქველების სტენოზი ან აორტისა და ფილტვის არტერიის დილატაციაა;
- გ) ანსხვავებენ აორტულ და პულმონურ განდევნის ტონებს;
- *დ) პულმონური განდევნის ტონი ძლიერდება ამოსუნთქვისას.

მილოცვა CONGRATULATIONS



INTERNATIONAL JOURNAL OF PEDIATRIC CARDIOLOGY- N1

<https://sppf.info/pdf/cardio-int-2021-1.pdf>

INTERNATIONAL JOURNAL OF PEDIATRICS

<https://sppf.info/pdf/int-ped-journal-2021-1.pdf>

კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო- რევმატოლოგიის საფუძვლები

სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთანთვის.
აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის



CARDIOLOGY
REVMAATOLOGY

მ.მ.დ. პეტრეშვილი,
აკადემიკოსი
ბიორბი ჩახუნაშვილი
მედიცინის დოქტორი ნინო ჯობაძე
2019

ბავშვთა კარდიო- რევმატოლოგიის საფუძვლები

1

სისხლის მიმოქცევა
(დედა-პლაცენტა-ნაყოფი)

Cardiac Problems in
Perinatology
and Paediatrics;

2

ინსპექცია
პერტუსის
აუსკულტაცია
(ფკპ)

გულ-სისხლძარღვთა
სისტემის
დაავადებები

3

ეკგ-ის კლინიკური
დირექტორები
ბავშვთა
და
მოზარდთა ასაკში-
პედიატრიისა
და
ბ/კარდიო-
რევმატოლოგიაში

წასაკითხია აგრეთვე

4

ინსტრუმენტული
და
ლაბორატორიული
კვლევები:

- ექო გრაფია,
- ეკობიოარსკოპია,
- კარდიოინტერ-
ვალოგრაფია,

Re-გრაფია
და სხვ.

5

Cor

გულ-
სისხლძარღვთა
სისტემის
დაავადებები

6

Rev

შემერთებული
ქსოვილის
დაავადებები

7

სიმპტომების
და
სიმძრომების
(ცხელება
ართრალგია
მიალგია
გამონაყარი
და ა.შ.)

კლინიკური
დირექტორები
ბავშვთა
და
მოზარდთა ასაკში

2014-2019 წწ. წა-
კითხულია კლინიკური
ლექციები ბავშვთა
კარდიო – რევმატო-
ლოგიის საფუძვლები
– (სულ 4-ლექცია),
სტუდენტების, რეზი-
დენტებისა და ექიმებ-
თანთვის. აგრეთვე
უმაღლეს სასწავლე-
ბელთა პედაგოგთათ-
ვის. შესაძლებელია
მსურველებს პრეზენ-
ტაციები ჩაგაწერი-
ნთ.

(„ირ.ციციშვილის
სახ. ბავშვთა ახალი
კლინიკა“ – ლუბლია-
ნას ქ. №21. დიღომი)
რა თქმა უნდა, რო-
გორც ყოველთვის, ეს
იქნება საჩუქრის სა-
ხით.
(სასურველია წინას-
წარ შემითანხმდეთ –
პროფესორი გიორგი
ჩახუნაშვილი)

ერთ-ერთი პირველი ქართული პრეპარატები



ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის კონსულტაციის აუცილებლობა

ადვილად დადლა, საერთო სი-
სუსტე, გულის არეში ჩხვლეტები
ან ტკივილი, ჰაერის უკმარისობის
შეგრძნება, ტაქიკარდია, არითმია,
აუსკულტაციისას შუილები, ანგი-
ნებით, ბრონქიტებითა და ვირუ-
სული ინფექციებით ხშირად მოა-
ვადე კონტიგენტი, ეკგ მონიტო-
რინგით, ყველა სახის ართრალგია,
მაღალი ანტისტრეპტოლიზინი,
სინკოპე, ფიზიკურად დატვირთუ-

ლი ბავშვები (სპორტსმენები, მო-
ცეკვავეები), უკვე დადგენილი სარ-
ქვლოვანი ნაკლოვანებების და
პროლაფსების მონიტორინგი, კარ-
დიო-რევმატოლოგიის კონსულტა-
ცია ტონზილექტომიის ჩატარებამ-
დე.
ზემოთ აღნიშნული კონტიგენტი-
სათვის ელექტროკარდიოგრაფიუ-
ლი კვლევის დინამიკაში დაკვირვე-
ბის აუცილებლობა.

120/180

ალერჯასტი

ფექსოფენადინი



დაამარცხე ალერგია
და შეინარჩუნე
სიფხიზლა!

allerafast



გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვილას!

☎ 2-900-800

www.aversi.ge